სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 ოქტომბერი **ხუთშაბათი** 2011

№247 (13544) ფასი 80 თეთრი

მოულოდნელი ლიდერი, შერცხვენილი ჩემპიონი, ილბლიანი არსენი

პორტუში ფრემ აპოელ-ს ჯგუფში ლიდერობა მოუტანა, დორტმუნდი თითქმის უშანსოდ დარჩა, არსენ ვენგერს შეცვლამ გაუმართლა

ბორჯესის პირველი დუბლი ჩელსიში

9

ქართველები ევროლიგაში

ფაჩულიას 4.5 წუთი და მხოლოდ ერთი მოხსნა

გიორგი შერმადინის რვაქულიანი დებიუტი

მარკოიშვილიც რვაქულიანია

ლეგიონერები

12

მხოლოდ მცირე პროგრესი

14

16-საათიანი მოლაპარაკება დღეს დილით უნდა გაგრძელებულიყო... კომპრომისამდე ჯერ ისევ შორია

ქართული ფეხბურთი

● ფიფას რეიტინგი

ღვინოზისთვე და... უბარაქო

ოქტომბერმა სამი ადგილით დაგვხია

საშესგზო მოსალოდნელი იყო, რომ საბერძნეთთან განცდილი საშინაო მარცხი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ფიფას რეიტინგში დააქვეითებდა და ასეც მოხდა. **თემურ ქეცბაიას** გუნდმა რეიტინგში სამი საფეხურით დაიხია და დღეისთვის 67-ე პოზიციაზეა, ჩვენზე ერთი ადგილით წინ კი კაბე ვერდეა, რომელიც ერთბაშად 25 პუნქტით აღზევდა.

ჯერ კიდევ გვრჩება იმის შანსი, რომ ნელინადი გაუმჯობესებული მაჩვენებლით დავასრულოთ – საამისოდ ნოემბერში გასამართი ამხანაგური შეხვედრის მოგებაა აუცილებელი.

რაც შეეხება ევრო 2012-ის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს ყოფილ მეტოქეებს, მათგან საუკეთესო პოზიცია საბერძნეთს უკავია, რომელმაც სამი ადგილით აინაცვლა და პორტუგალიასთან მე-8 საფეხურს იყოფს; ხორვატია მე-9-დან მე-12-ეზე ჩამოქვეითდა, ისრაელი 38-ეზე დარჩა, ლატვია 74-ედან 75-ეზე ჩავიდა, მალტა კი – 154-ედან 158-ეზე.

აქვე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირსაც შევეხოთ და ვნახოთ, როგორია ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგეების მდგომარეობა. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი დამაჯერებლად ინარჩუნებს რეიტინგის ლიდერობას, საფრანგეთი მე-12-ედან მე-15 პოზიციამდე დაქვეითდა, ბელარუსი 55-ედან 61-ეზე დაეშვა, ფინეთის მდგომარეობა კი 6 ადგილით გაუარესდა და დღეისთვის სუომელები 78-ეები არიან.

ვნახოთ, რა მდგომარეობაა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომლის ნაკრებებიდანაც საუკეთესო, მე-13 ადგილი რუსეთს უკავია, მას კი აბსოლუტურად ლოგიკურად მოსდევს სომხეთი, რომელიც დღეს მსოფლიოს 46-ე ნაკრებია. ევრო 2012-ის თანამასპინძელი უკრაინა სარეიტინგო ქულებს მხოლოდ ამხანაგური მატჩებით აგროვებს და 58-ეა, პლეი ოფში გასული ესტონეთი 59-ეა, ბელარუსი კი, როგორც უკვე გითხარით, 61-ე. პოსტსაბჭოელთაგან რეიტინგში სწორედ ეს ხუთი ქვეყანა გვისწრებს.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ნაკრებზე უკეთესი პოზიცია უკავიათ იამაიკას, პანამას, ბურკინა ფასოსა და სიერა ლეონეს, სამაგიეროდ, ვუსწრებთ ავსტრიას, ბულგარეთს, ახალ ზელანდიასა და კვიპროსს.

რაც შეეხება საუკეთესო ათეულს, პირველი ოთხი საფეხური უცვლელი დარჩა და იქ გუნდები სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე დაკავებული ადგილების ანალოგიურად არიან განლაგებულნი, ბრაზილია კი მე-7-დან მე-5 ადგილზე გადავიდა, ინგლისი - მე-8-დან მე-7-ეზე, ბერძენთა პროგრესის შესახებ კი უკვე გითხარით. დანია 7 პოზიციით დაწინაურდა და არგენტინასთან მე-10 ადგილს ინაწილებს. ათეულს ვერ შესწვდა, მაგრამ შვედეთის წინსვლა მაინც აღსანიშნავია – სკანდინავები 25-ედან მე-14 პოზიციამდე აღზევდნენ.

207 ნაკრებისგან შემდგარ რეიტინგში ნული ქულით მაჩანჩალები არიან ამერიკული სამოა, ანდორა, მონსერატი, სამოა და სან მარინო. ანდორასა და სან მარინოს აშკარად არ გაუმართლათ, ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან რომ არ მოხვდნენ, თორემ პირველი სარეიტინგო ქულების მოპოვების იმედი ნამდვილად გაუჩნდებოდათ...

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. ესპანეთი
2. ჰოლანდია
3. გერმანია
4. ურუგვაი
5. ბრაზილია
6. იტალია
7. ინგლისი
8. საბერძნეთი
პორტუგალია
10. არგენტინა
დანია
...67 საქართველო

ლევან ჯანეზაშვილი

● U17

პირი პირიპო და, ცაეშეს კარგი პირი უჩანს

ბელარუსი და შეკრება გადაწყვეტილია, ველით წილისყრას და ელიტრაუნდის მასპინძლობას



ვასილ მაისურაძე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ერთ-ერთი პირველი იყო ევროპაში, რომელმაც ევრო-ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის საგზური დაიბევა – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენი ჯგუფის მატჩები ყველაზე ადრე დასრულდა. შეგახსენებთ, **ვასილ მაისურაძის** გუნდმა მოლდოვაში გამართულ მინიტურნირში მასპინძლებისა და ბულგარეთის ნაკრებებს აჯობა და მხოლოდ შვედეთს ჩამორჩა.

ამის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების წევრებს აღუთქვა, რომ ელიტრაუნდისთვის სათანადოდ მოსამზადებლად ყველაფერს იღონებდა და სასიამოვნოა, რომ საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს. როგორც ვასილ მაისურაძისგან შევიტყვეთ, უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ 2012 წლის 21-28 იანვარს საქართველოს ნაკრები ბელარუსის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

ეს შეჯიბრება ტრადიციულია და საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს იქ ადრეც უთამაშიათ, მაგრამ იანვარში ბელარუსულ ფეხბურთს ასი წელი უსრულდება და შეჯიბრების ორგანიზატორები ძლიერი გუნდების მიწვევას აპირებენ. მოსალოდნელია, რომ ბელარუსში იტალიის 17-წლამდელთა ნაკრებიც ჩავა.

ბელარუსში გამგზავრებამდე კი საქართველოს ნაკრები დაახლოებით ერთკვირიან შეკრებას გაივლის. ბუნებრივია, სასურველი იქნება, თუ ჩვენი გუნდი გაზაფხულზე გასამართ ელიტრაუნდამდე მინიმუმ კიდევ ერთ ტურნირში მოსინჯავს ძალებს და ამხანაგურ მატჩებსაც ჩაატარებს. ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით გახდება ცნობილი – ჯერ პირველ შესარჩევ რაუნდში ყველა ჯგუფის თამაშები უნდა დასრულდეს, გაირკვნენ ჩვენი საელიტრაუნდო მეტოქეები და, თუ ამის საშუალება იქნება, სპარინგპარტნიორებიც მათი სტილის მიხედვით შეირჩევიან.

იდეალური იქნებოდა, ელიტრაუნდისთვის თავად გვემასპინძლა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფაში ამ საკითხის დაყენებას აპირებს და იმედია, ეს საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება. ბოლო წლებია, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებები ელიტრაუნდამდე სისტემატურად აღწევენ, მაგრამ ფინალურ ეტაპამდე ვეღარ მიდიან და ნავსი, ეგებ, შინ ჩატარებული ტურნირით გავტეხოთ.

ელიტრაუნდის წილისყრამდე ჯერ ადრეა – მეტოქეთა ვინაობას სრულად დეკემბერში შევიტყობთ, დღეისთვის კი ჩვენი სავარაუდო მოწინააღმდეგეებიდან უკვე რამდენიმეა ცნობილი. საქართველოსა და შვედეთის გარდა, ელიტრაუნდის საგზური მოიპოვეს უნგრეთმა, ბელარუსმა, დანიამ, იტალიამ, გერმანიამ, ალბანეთმა, ისლანდიამ და შვეიცარიამ, ბრძოლას კი გამოეთიშნენ ნორვეგია, ანდორა, ავსტრია, კვიპროსი, მოლდოვა, სლოვაკეთი, ესტონეთი და ისრაელი. 13-დან 8 ჯგუფში მატჩები ჯერ არ დაწყებულა. საუკეთესო მესამეადგილოსნის სტატუსის მოპოვების შანსს ინარჩუნებს ჩვენების მიერ პირველ ეტაპზე ძლეული ბულგარეთი, თუმცა ელიტრაუნდში არც მას და არც შვედეთს არ შევხვდებით.

17-წლამდელთა ნაკრების შესახებ კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ის არის, რომ შვეიცარიულ "ბაზელში" სინჯებზე იმყოფება გუნდის კაპიტანი, რუსთავის "მეტალურგის" ნახევარმცველი **გიორგი აბურჯანია**. ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, მან შვეიცარიიდან ჰოლანდიაში გადაინაცვლოს და სინჯები არნემის "ვიტესშიც" გაიაროს. აბურჯანია საქართველოში რამდენიმე დღეში დაბრუნდება და მისი ევროპული ვოიაჟის შესახებ უახლოეს დღეებში გიამბობთ.

ლევან ჯანეზაშვილი

● ზესტაფონი

ასეთს მოგვასწრო არჩევნებს

ქართველები ხმას აძლევენ მშვიდად

როგორც იცით, პროფესიონალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ფედერაცია (FIFPro) ყოველწლიურად ატარებს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვას, რომელშიც მხოლოდ ფეხბურთელები მონაწილეობენ. ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, საქართველოდან არჩევანის გაკეთების უფლება ხუთი წამყვანი ქართული კლუბის – "ზესტაფონის", "დინამოს", "მეტალურგის", "გაგრასა" და "ვიტ ჯორჯიას" მოთამაშეებს მიეცათ. შესაძლოა, დღეისთვის საქართველოში "გაგრასა" და "ვიტ ჯორჯიაზე" უფრო ძლიერი კლუბებიც იყვნენ, მაგრამ FIFPro-მ ჩვენი ქვეყნიდან მხოლოდ ის კლუბები შეარჩია, რომლებმაც წლევანდელ და შარშანდელ ევროტურნირებზე იასპარეზეს.

რამდენიმე დღის წინ საკუთარი არჩევანი "დინამოს" ფეხბურთელებმა გააკეთეს, გუშინ კი ამის საშუალება "ზესტაფონის" წევრებს მიეცათ.

FIFPro-ს პრიზი შარშან **ლიონელ მესიმ** მოიპოვა და დიდია იმის შანსი, არგენტინელმა ჯილდო შეინარჩუნოს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერი

ფოფხაძემ, შჯურმს გელაშვილი უნდოდაო

ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასულ ავსტრიულ "შტურმში" **გიორგი ფოფხაძე** კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ბელარუსულ ბატესთან ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფისა და ვენის "აუსტრიასთან" ადგილობრივი ბუნდესლიგის შეხვედრაში "შტურმის" ფანებმა გიორგი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 25 წლის ქართველი მარცხენა მცველი ავსტრიის ჩემპიონს მართლაც უპრობლემოდ შეეწყო და ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი მოთამაშე გახდა.

გიორგიმ გაგვიმხილა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ზესტაფონთან" შეხვედრის შემდეგ გრაცელთა მთავარი მწვრთნელი **ფრანკო ფოდა** ქართული კლუბის თავდამსხმელით, **ნიკა გელაშვილით** დაინტერესდა.

„ჩვენი მთავარი მწვრთნელი ნიკათი ძალიან დაინტერესდა, ვიცი, რომ მოლაპარაკება დაიწყეს, მაგრამ მერე ეს პროცესი შეჩერდა. რა მიზეზით, ჩემთვის უცნობია" – გვითხრა ავსტრიული კლუბის ქართველმა მცველმა.

მერაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **ოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● კოლეგები

უფეხბურთოდ ღამე უფრო ღამეა

კარგია: დასაბრუნებელი ბრუნდება

ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ (აგვისტოს დასაწყისში) „ლელომ“ მკითხველს ჩვენი კოლეგები, ცნობილი ტელესახეები „შეახვედრა“: **დავით მინაშვილი** („საზოგადოებრივი მაუწყებელი“), **დიმიტრი ობოლაძე** („რუსთავი-2“) და **ლაშა დვალიშვილი** („მზე“). ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ვრცელი მასალა („კაცურად, გაგვიგეთ კაცებს: გვაჩვენეთ ჩვენი ფეხბურთი!“) კოლეგების საქმიანობას ეძღვნებოდა, სამ სხვადასხვა არხზე კვირაში ერთხელ მაღალპროფესიული საფეხბურთო გადაცემებით რომ ანებივრებდნენ ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ახალი სეზონის დაწყების შემდეგ დიმიტრი ობოლაძის „საფეხბურთო ღამეც“ დაიხურა და ლაშა დვალიშვილის საავტორო გადაცემაც „105 წუთი“; კიდევ კარგი, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობა კვლავაც რჩება სპორტის დიდ ქომაგად და ამა წლის აგვისტოდან მოყოლებული, პირველი არხის ეთერით კვირაში ორი სპორტული გადაცემა გადის: ორშაბათობით „გოლი“ და ხუთშაბათობით „არენა“.

და აი, ქართულ ტელესივრცეში დღეიდან კიდევ ერთი საფეხბურთო გადაცემა გამოჩნდება (უფრო ზუსტად, ბრუნდება) - ტელეკომპანია GMG-ის ეთერით, კერძოდ კი „GMG-ფეხბურთის“ არხზე ყოველ ხუთშაბათს, 23 საათიდან „საფეხბურთო ღამე“ დაიწყება, რომელსაც კვლავაც დიმიტრი ობოლაძე წაიყვანს! აქვე, დავაზუსტებთ, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმ გადაცემებზე, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ფეხბურთზეა არიან ორიენტირებული. ახლა კი, აღდგენილ „საფეხბურთო ღამეზეც“ ვისაუბროთ; უფრო ზუსტად, ძველ-ახალი გადაცემის თაობაზე ჩვენი კოლეგის, „GMG ფეხბურთის“ პროდიუსერის **ლევან სალუქვაძის** ნაამბობი გვინდა შემოგთავაზოთ.

ლევან სალუქვაძე



დიმიტრი ობოლაძე

— გადაცემა „საფეხბურთო ღამე“ სრული პროექტით ამიერიდან „ GMG ფეხბურთის“ არხზე გავა ზუსტად იმ ფორმატით, როგორიც ადრე იყო; ანუ, გადაცემის ხანგრძლივობა, სულ მცირე, საათნახევარი იქნება — წამყვანიც იგივეა, დიმიტრი ობოლაძე. ყველა გადაცემაში იქნებიან სტუმრები, ამას გარდა მაყურებელს პირდაპირ ეთერში დარეკვისა და საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება ექნება. მინდა გითხრათ, რომ გადაცემა მხოლოდ ქართული ფეხბურთის მოვლენებს არ გააშუქებს — ჩემპიონთა ლიგის ამსახველი კადრებიც იქნება და უცხოეთში მოასპარეზე ქართველი მოთამაშეების ასპარეზობასაც სისტემატურად გავაშუქებთ. აი, მაგალითად, გაგიმხელთ, რომ სხვა არანაკლებ საინტერესო თემებთან ერთად ქართველი გულშემატკივარი ამ საღამოს ჰოლანდიურ „ვიტესში“ მოასპარეზე გიორგი ჭანტურიაზე მომზადებულ სიუჟეტსაც ნახავს.

...დიმიტრი ობოლაძესთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და როგორც კი შევიტყვეთ, რომ „რუსთავი 2“-ზე მისი გადაცემა დაიხურა, მაშინვე შევთავაზეთ თანამშრომლობა. რაც მთავარია, ურთიერთთანამშრომლობის ორმხრივი სურვილი გვქონდა, უბრალოდ, მოსამზადებელ სამუშაოებს გარკვეული დრო სჭირდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, გადაცემის ძირითადი მიმართულება ქართული ფეხბურთის პრობლემებზე მსჯელობა-საუბარი იქნება. მოგეხსენებათ, რომ აქამდე GMG ძირითადად უცხოურ ფეხბურთზე იყო ორიენტირებული და „საფეხბურთო ღამის“ ჩვენს არხზე გადმოსვლით ეს ვაკუუმიც შეივსება. მეტსაც გეტყვით: დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების ტრანსლირებაც მოვახდინოთ, მაგრამ ჩვენს კომპანიას (ჯერ ერთი წელიც რომ არ შესრულებია) ამის საშუალება არა აქვს. ვგულისხმობთ, პირდაპირი რეპორტაჟებისათვის აუცილებელ მოძრავ სატელევიზიო სადგურს, თუმცა არის კიდევ ერთი ვარიანტი და ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მივმართეთ კიდეც; ანუ, თუ სატელევიზიო სიგნალს მოგვაწვდიან, ჩვენ მზად ვართ საქართველოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი ტრანსლაციებისთვისაც. ისე, ამ ზაფხულს „GMG ფეხბურთის“ არხზე „დინამოს“ გასვლით მატჩებზე მომზადებული 4 სიუჟეტი გავიდა — ევროტურნირებზე ასპარეზობის დროს ჩვენი გადამღები ჯგუფი გუნდს ოთხივე საგარეო მატჩზე (მოლდოვაში, უელსში, ისლანდიაში, საბერძნეთში) ახლდა. მოგეხსენებათ, რომ „დინამო“ და GMG პარტნიორები არიან და ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბის ნებისმიერ საშინაო მატჩს მუდმივად ვაანონსებთ.

...ზემოთაც აღვნიშნე, რომ აქამდე, ჩვენთან ძირითადი პრიორიტეტი უცხოურ ფეხბურთს ჰქონდა მინიჭებული, — შესაძლოა, ვინმემ არც დაიჯეროს, მაგრამ უცხოეთიდან სატელევიზიო სიგნალი ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე აქაური სატელევიზიო მომსახურება. ხშირად მომისმენია, ჩვენს კომპანიას პოპულარულ რუსულ სპორტულ არხს HTB-ს რომ ადარებენ ხოლმე: აი, იმათთან ყველაფერი პირდაპირ ეთერით გადაიცემა, საქართველოში კი ამას რატომ ვერ ახერხებენო? ამ საკითხთან დაკავშირებით მოკრძალებულ კითხვას დავსვამ: HTB-მ დაარსებიდან მერამდენე წელინადს შეძლო ასეთი მართლაც მაღალი დონის მიღწევა? იგივეს თქმა შეძლია „ნაშ ფუტბოლ“-ზეც, სულ ახალ საფეხბურთო არხზეც. მოკლედ, ყველაფერს დრო სჭირდება, — ბოლოს და ბოლოს, GMG-ზე სამი სპორტული არხია და ეს მხოლოდ დასაწყისია. თანაც, „საფეხბურთო ღამე“ ჩვენი ერთადერთი გადაცემა არ არის: ყოველდღიურად საინფორმაციო გამოშვება „სპორტნიუსი“ ოთხჯერ გადის ჩვენი ეთერით, კვირაში სამჯერ — „იმედის ფსონი“, აგრეთვე საფეხბურთო მიმოხილვა „გოლი“. დღეიდან კი დიმიტრი ობოლაძესთან ერთად „საფეხბურთო ღამე“ შეემატება ჩვენს არხს.

■ ■ ■

გუშინვე დიმიტრი ობოლაძესაც შევეხმიანეთ და „საფეხბურთო ღამის“ დაბრუნების თაობაზე მცირე კომენტარიც ვთხოვეთ: „რუსთავი-2“-ზე ბევრად უფრო მაღალი რეიტინგის გადაცემები გადიოდა, ვიდრე „საფეხბურთო ღამე“ იყო და ამიტომაც ლოგიკურად მიმაჩნია, რომ სხვაგან, კერძოდ კი საფეხბურთო არხზე გადმოვსულიყავით. გადაცემის ფორმატი უცვლელი რჩება, უბრალოდ, უფრო მრავალფეროვანი გვინდა გავხადოთ და ქართული ფეხბურთის გარდა, სხვა საჭირბოროტო თემებსაც შევეხებით (ჩემპიონთა ლიგა, ქართველი ლეგიონერები, ბავშვთა ფეხბურთი და ასე შემდეგ). ისიც სიახლეა, რომ გადაცემა დროში შეზღუდული არ იქნება და, ტრადიციულად, ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს მიეცემა საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება.

გია ტუხაშვილი

● ლეგიონერები

ირაკლი კლიმიაშვილი (შუაში) პრიზით

უზბეკური სექტემბერი კლიმიაშვილის თვე იყო

უზბეკეთის „პახტაკორში“ მოასპარეზე ქართველი შემტევი ნახევარმცველი, 23 წლის **ირაკლი კლიმიაშვილი** ამ ქვეყნის ჩემპიონატის სექტემბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა და სპეციალური დიპლომიც გადაეცა.

ქართველის გუნდი უზბეკეთის თასის ფინალში გავიდა, რაშიც კლიმიაშვილმა თავისი წვლილი შეიტანა. პირველ ნახევარფინალურ დაპირისპირებაში „შურთანთან“ ირაკლის გოლმა ანგარიში საყაიმო - 1:1 გახადა, შინ კი, განმეორებით მატჩში „პახტაკორმა“ 0:0 დაასრულა შეხვედრა და კლიმიაშვილი და მისი თანაგუნდელები თასის ფინალში იასპარეზებენ.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი კლიმიაშვილი „პახტაკორში“ (სადაც კიდევ ერთი ჩვენებური, 23 წლის **კახა მახარაძე** თამაშობს) განათხოვრების წესით გადავიდა „ანჟიდან“ და უზბეკეთში ნოემბრის ბოლომდე დარჩება.

თასის ფინალი 26 ოქტომბერს გაიმართება.

მაგდა კლდიაშვილი

ლონღაძე ბრაზილიელს ყოჩაღად მისდევს

ლატვიის ჩემპიონატში მორიგი გოლი გაიტანა **მამუკა ლონღაძემ**. „დაუგავას“ 25 წლის ქართველმა ფორვარდმა ამჯერად „იურმალას“ კარი დალაშქრა. „დაუგავამ“ საკუთარ მოედანზე 2:1 გაიმარჯვა, ლონღაძემ კი 70-ე წუთზე გადამწყვეტი ბურთი შეაგდო.

20 გოლით იგი ლატვიურ ვირსლიგაში მეორე ადგილზეა და მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება „სკონტოს“ ბრაზილიელ **ნატან ჟუნიორს**. „დაუგავა“ კი 62 ქულით მესამე ადგილზეა და მეორეადგილოსან ლიეპაიას „მეტალურგსს“ 2, „ვენსტპილსს“ კი 4 ქულით ჩამორჩება. თუმცა „ვენტსპილსს“ მდევრებზე ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული.

მამუკა ლონღაძე

ლევან ჯანეზაშვილი

● საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

ბ ზონა

X ტური

გურია-ადელი	2:0
ნ. დინამოელი-სამგურალი	0:3
სულორი-ჩიხურა	0:4
ზოოვეტი-აეტი	2:0
იმერეთი-სძური	1:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩიხურა	10	9	1	0	25-2	28
2. გურია	10	7	2	1	27-8	23
3. ნ/დინამოელი	10	5	1	4	19-11	16
4. იმერეთი	10	5	1	4	15-13	16
5. ზოოვეტი	10	5	1	4	13-17	16
6. სძური	10	4	2	4	12-15	14
7. სამგურალი	10	3	4	3	13-10	13
8. ადელი	10	2	1	7	10-19	7
9. სულორი	10	1	2	7	3-26	5
10. აეტი	10	1	1	8	5-21	4

ა ზონა

20 სექტემბერი

დინამო (ბ)-ჩხერიმელა
მერცხალი-სტუ
მესხეთი-სამტრედია
მეშახტე-ლოკომოტივი
ჭიათურა-კოლხეთი (ხ)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბათუმი	9	7	1	1	14-5	22
2. მერცხალი	8	5	2	1	13-9	17
3. ჩხერიმელა	9	5	2	2	13-11	17
4. ჭიათურა	8	4	2	2	13-7	14
5. სტუ	8	4	2	2	18-15	14
6. მეშახტე	9	2	2	5	10-11	8
7. კოლხეთი (ხ)	9	2	2	5	8-12	8
8. მესხეთი	8	2	1	5	7-10	7
9. ლოკომოტივი	6	0	3	3	5-11	3
10. სამტრედია	8	0	3	5	5-15	3

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში“
E-mail:hr@kvirispalitra.com

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ჩემპიონატი. რეგიონი

ერთი გუნდის ამბავი

ის ბაია აღარ არის, გაიზარდა

ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერაც დიდი დროა, მანამდე ბევრი რამ შეიცვლება, მაგრამ უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ელგუჯა ქომეთიანის გაწვრთნილი ზუგდიდის "ბაია", რომელიც ნამდვილად არ გამოირჩევა განსაკუთრებული დაფინანსებით, „ბაიობის" პერიოდს გასცდა, გაიზარდა და მიმდინარე ჩემპიონატის აღმოჩენა გახდა.

"ბაია" წლევანდელი პირველობის ლიდერებშია და ურიგოდ არ თამაშობს. სწორედ ამით არის გამონვეული ჩვენი გაზრდილი ინტერესი ამ კლუბის მიმართ, რომელსაც მუდამ ჰქონდა დიდი პოტენციალი, მაგრამ უსახსრობის გამო ევროთასებზე არასოდეს უთამაშია.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ჩემპიონატის ლიდერებში მყოფ "ბაიას" მოთამაშეთა ჯამურმა ფასმა წლეულს პირველად გადააჭარბა მილიონ ევროს და 1.375.000 ევროს უწია.

გუნდის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი ირაკლი ქობალიაა. რუსთავის "მეტალურგში" თამაშისას ევროთასებზე გატანილი გოლების შემდეგ "ტრანსფერმარკტმა" იგი 250 ათას ევროდ შეაფასა.

"ბაიას" მოთამაშეთა ამჟამინდელი სატრანსფერო ფასები ასეთია:

01. ირაკლი ქობალია	250.000
2. ნიკა აფაძიძე	175.000
3. ლუკა გუგუჩია	150.000
4. ირაკლი ეხვაია	125.000
5-8. ზვიად სიხარულია ვალიკო ტყემალაძე ლევან წურწუმია გურამ სამუშია	75.000
9-13. გიორგი სომხიშვილი ზოთა ლომია ნიკა მგელაძე დათა რიგვავა ილია გამრეკლიძე	50.000

ზუგდიდის "ბაიაში" ბევრი საინტერესო მოთამაშეა, ცხადია, დღეს ყველაზე ვერ შევჩერდებით, პერსპექტიულთაგან ორს და კაპიტანს გავესაუბრეთ.

ელგუჯა ქომეთიანი

კაპიტნის სიტყვა:

პრობლემა იყოს ნაკლები და ქულა იქნება მეტი

„ბაიას" კაპიტანი **გიორგი სომხიშვილი** ამბობს, რომ წარმატებული თამაშის მიზეზი გუნდში არსებული მეგობრული ვითარებაა.

"წლეულს, უპირველესად, სწორედ ერთსულოვნება გახდა გუნდის წარმატებული გამოსვლის მიზეზი, ასეთი შეკრული გუნდი, ასეთი თამაში იშვიათი მეგობრული ატმოსფეროს შედეგია. ამგვარ მეგობრულ გარემოს ბევრგან ვერ ნახავთ, ელგუჯა ქომეთიანი და ჩვენ ერთმანეთს კარგად ვუგებთ.

"ბაიაში" არიან ახალგაზრდებიც და გამოცდილი მოთამაშეებიც - მე, ლევან აკობია და ზოთა ლომია. მაგრამ ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, ვმეგობრობთ, ერთად დგომაც შეგვიძლია და ეს არის ყველაზე დიდი წარმატება.

ნიჭიერი ბიჭები გვყავს, თითოეულ მათგანს დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. საერთოდაც, მიკვირს, რა ტალანტები იზრდებიან ზუგდიდში, აქ მართლაც ნიჭიერთა ბუდეა. რამდენიმე მატჩი წავაგეთ, რაც, უპირველესად, გამოუცდელობით მოგვივიდა, მაგრამ მაინც არ შევჩერდით.

ეს ბიჭები არა მხოლოდ ნიჭიერებით, არამედ ასაკისთვის უჩვეულო პროფესიონალიზმითაც მაოცებენ, გულიანად ვარჯიშობენ და მოედანზე მაქსიმუმს აკეთებენ.

კიდევ, იცით, რა მიკვირს? თანამედროვე ფეხბურთში ტანმაღალი მოთამაშეები ფასობენ, ჩვენ კი ათლეტური გუნდი არ გვეთქმის. არ მინდა გუნდის დასახელება, იქ ჩემი მეგობრები თამაშობენ და ერთხელაც მატჩის წინ მოთელვაზე რომ გავედით, ძველმა თანაგუნდელმა მითხრა, მაღალი ფეხბურთელები არ გყავთ და რისი იმედი გაქვთო. არადა, ბიჭებმა ბურთი ისე გააგორეს, ვერაფერი მოგვიხერხეს და ამის მთქმელი გაოცებული დარჩა.

წლეულს ჩვენი მიზანი რვა საუკეთესოში მოხვედრაა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, დღევანდელი შემადგენლობა თუ შევინარჩუნეთ, მომავალ სეზონში "ბაია" ბევრად უფრო სერიოზული ამოცანების გადაწყვეტას შეძლებს, მინიმუმ, სამეულისთვის ბრძოლას მაინც. მთავარია, სოლიდურად დაგვაფინანსონ და "ბაია" თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის" – ამბობს სომხიშვილი.

მეკარე გიორგი სომხიშვილი

ზვიად სიხარულია

ზვიად სიხარულია "ბაიაში" წლეულს იმკვიდრებს თავს. ასაკობრივი და ახალგაზრდული ნაკრებების ნახევარმცველმა მიმდინარე ჩემპიონატში რამდენიმე შთამბეჭდავი თამაში ჩაატარა და მისი პროგრესი თვალსაჩინოა.

19 წლის სიხარულია მოედანზე თამამი და აქტიურია, ცხოვრებაში კი საკმაოდ მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

"მოედანზე მართლაც განსხვავებული ვარ, აქ დათმობა არ შეიძლება და არც მიყვარს. არ აქვს მნიშვნელობა, რა დონის მეტოქეს ვხვდებით, ჩემი დავალება მისი დამარცხებაა და თავის დახრა არ მჩვევია. ხელს ისიც მიწყობს, რომ წლეულს "ბაია" კარგად თამაშობს, ნიჭიერი ბიჭებით დაკომპლექტებული შეკრული გუნდი გვყავს. ცხადია, ეს ყველაზე მოქმედებს და მეც ვცდილობ, გუნდელებს მხარი ავუჭა" – ამბობს სიხარულია.

ნახევარმცველი "ბაიას" ნაკლსაც ამჩნევს, უფრო ლიდერებთან ბრძოლისას ვართ მოტივირებულიო: *"ვერავინ იტყვის, რომ სხვა გუნდებთან მონდომებით არ ვთამაშობთ, მაგრამ ვამჩნევ, განსაკუთრებული სტიმული ლიდერებთან შეხვედრისას გვიჩნდება, უფრო მონდომებულები ვართ. შესაძლოა, ეს ჩვენს გამოუცდელობაზე მეტყველებს. თუმცა, ჯერ ვერც "ზესტაფონს" მოვუგეთ და ვერც "მეტალურგს", მაგრამ მალე თბილისის "დინამო" გვეწვევა და იმედია, ახლა მაინც მოვახერხებთ ლიდერის დამარცხებას. ამ მატჩს ყველა განსაკუთრებულად ველით და საგანგებოდაც ვემზადებით, თანაც, "დინამო" მაინც ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბია და მასთან თავის გამოჩენა ბევრს ნიშნავს, ისიც გამოჩნდება, რეალურად რა შეგვიძლია".*

სიხარულია საინტერესოდ ხსნის წარმატების მიზეზს: *"დელ ბოსკე მადრიდის "რეალის" მთავარ მწვრთნელად რომ დანიშნეს, წარმატებას რის ხარჯზე მიაღწია? მისი გაზრდილი იყო "რეალის" ბევრი ლიდერი. ასევეა ჩვენთვის ელგუჯა ქომეთიანი, გაგვზარდა, "ბაიაში" დაგვაწინაურა და ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის. ბატონ გუჯას თითოეული ჩვენგანი ემადლიერება და მოედანზე მისთვისაც ვიბრძვით. მწვრთნელიც კარგია და პიროვნებაც, ფეხბურთელებს შვილებივით გვპატრონობს".*

სიხარულიას უკვე სისტემატურად იწვევენ ახალგაზრდულ ნაკრებში, მაგრამ ჯერ არ უთამაშია: *"ახალგაზრდულ ნაკრებში იმხელა კონკურენციაა, ჯერ 18-კაციან განაცხადშიც კი ვერ მოვხვდი, ასე რომ, ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი შრომა დამჭირდება. ვფიქრობ, ფეხბურთის თამაში შემიძლია, შრომა არ მეზარება და იმედია, იმ კონდიციებს მივაღწევ, ნაკრებში თამაში რომ დავიმსახურო. ჩემი ოცნება კი ეროვნულ გუნდში თამაში და მისი მაისურით წარმატების მიღწევაა".*

ზვიად სიხარულია:

ქომეთიანი ჩვენი დელ ბოსკეა

გურამ სამუშია:

იანვარში, ევროპაში

კობა ყორჟიკაშვილის ფორმაციის 17-წლამდელთა ნაკრებში ჩატარებული ეფექტური თამაშის შემდეგ გაზაფხულზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ **გურამ სამუშიას** მადრიდის "ატლეტიკოში" ინვევდნენ, თუმცა იგი "ბაიაში" დარჩა.

17 წლის ფეხბურთელი გუნდსაც შეეჩვია და უმაღლესი ლიგის მოთხოვნებსაც, მთავარი მწვრთნელი **ელგუჯა ქომეთიანი** ბოლო დროს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებშიც ხშირად ათამაშებს. შაბათს გორის "დილასთან" მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და ზუგდიდელთა გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

მაგრამ რატომ შეწყდა ლაპარაკი ესპანეთში მის წასვლაზე, იყო თუ არა ეს სიმართლე?

"გაზაფხულზე მართლაც იყო ლაპარაკი, რომ მადრიდის "ატლეტიკოში" გამსინჯავდნენ. მაგრამ მერე რა მოხდა, წარმოდგენა არ მაქვს, ფაქტია, რომ ვერ წავედი, თუმცა უცხოეთში წასვლაზე ხელი არ ჩამიქნევია. როგორც მითხრეს, იანვარში ერთ-ერთ ევროპულ კლუბში მელიან სინჯებზე. ჯერ ზუგდიდის "ბაიასთან" მაკავშირებს კონტრაქტი, რომელიც მომავალი წლის ივნისში მიმთავრდება და, რა თქმა უნდა, უცხოეთში თამაშზე უარს არ ვიტყვი" – ამბობს სამუშია.

უმაღლეს ლიგაში ჩატარებულ შეხვედრებში სამუშია სულაც არ ჰგავს დაბნეულ დებიუტანტს, აქტიურია, მონდომება არ აკლია და უკვე ორი გოლი გაიტანა - ერთი ჩემპიონატში "გაგრასთან", მეორე კი ბოლნისის "სიონთან" საქართველოს თასზე.

"უცხოეთში წასვლა წინსვლისთვის მჭირდება და ამას ნებისმიერი ქართველი ფეხბურთელი იტყვის. ნაკრებში თამაშის მცირე გამოცდილება მქონდა და უმაღლეს ლიგაში ესეც ძალიან დამეხმარა. საქართველოს ჩემპიონატში თამაში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გამოცდილებას ვიძენ, აქ გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება გიწევს და, ცხადია, თავადაც იზრდები. მწვრთნელით დაწყებული, თანაგუნდელებით დამთავრებული, ყველა ხელს მიწყობს, ეს კი დიდი სტიმულია, რათა უფრო თამამად და მონდომებით ვითამაშო" – გვითხრა სამუშიამ.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი

ვერმაელენი რჩება! ვან პერსი?



ტომას ვერმაელენი

„არსენალის“ თავკაცმა, **არსენ ვენგერმა** თქვა, რომ 25 წლის ბელგიელმა მცველმა, **ტომას ვერმაელენმა** კლუბთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამით „ემირეიტ სთედიუმიდან“ ფეხბურთელების გაქცევას წერტილი დასვა. კი მაგრამ, **რობინ ვან პერსი**? განა „მეთოფეთა“ ახალი კაპიტნის ამბავი გარკვეულია?

ვერმაელენის ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი ჩრდილოლონდონური კლუბისთვის მართლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თან, ხელშეკრულებას მხარეებმა ხელი ვენგერის იმ ინტერვიუს მეორე დღეს მოაწერეს, რომელშიც „არსენალის“ ფრანგი მნვრთნელი ჰყვებოდა თუ როგორ გარბოდა ზაფხულში კლუბიდან თითქმის ნახევარი გუნდი. დღეს ვენგერი უკვე სხვანაირად ლაპარაკობს:

„ვერმაელენის ამბავი სულ სხვა განწყობილებაზე მიგვანიშნებს. ახლა უკვე გადაღლილი, მაგრამ ბედნიერი კლუბი ვართ. რასაკვირველია, როგორც გვინდოდა სეზონი ისე ვერ დავინყეთ, მაგრამ საკუთრივ გუნდში საუცხოო ატმოსფეროა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა ჩვენ სეზონის შემოტრიალება გვინდა და ის ფაქტი, რომ ფეხბურთელები „არსენალთან“ ახალ კონტრაქტებს აფორმებენ, დამაიმედებელია“.

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ ვერმაელენის ამბავმა მთელი ყურადღება 28 წლის ვან პერსიზე გადაიტანა. ბელგიელს ჰოლანდიელის მსგავსად, ძველი კონტრაქტის ვადის გასვლამდე 19 თვე ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ მისგან განსხვავებით, ვან პერსის საქმე ჯერჯერობით წინ ვერ მიდის. მისი მდგომარეობა „არსენალში“ ყველას აშფოთებს, თავად ფეხბურთელსაც კი. ანდა, სხვანაირად როგორ იქნება, როდესაც თვალწინ **სამირ ნასრის** მაგალითია — ნასრი ახალ ხელშეკრულებაზე ლაპარაკს გაურბოდა და საბოლოოდ გადავიდა კიდეც სხვა კლუბში - „მანჩესტერ სიტიში“.

სხვა საქმეა, რომ ვენგერი და ვან პერსი ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ერთგულებაზე. ისინი ამბობენ, რომ ჰოლანდიელი „მეთოფეთა“ ერთგულია, მაგრამ დაეჭვებული ჟურნალისტების თქმით, ლაპარაკი არაფერს ნიშნავს. ნამდვილი ერთგულება ვერმაელენმა გამოამჟღავნა. ის კლუბში ურთულეს დროს დარჩა, როდესაც გუნდმა სეზონი საშინლად დაიწყო და გაჩნდა რეალური საშიშროება, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილს ვერც კი მოიპოვებს. ეს დამოკიდებულება ძალიან განსხვავდება ერთგული ვან პერსის დამოკიდებულებისგან, რომელიც სეზონის ჩამთავრებას ელოდება, რათა შეხედოს, გადის გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე თუ არა.

● ლივერპული

ჯერარდის პრობლემები

სტივენ ჯერარდს ეშინოდა, რომ ტრავმა და თითქმის შვიდთვიანი მკურნალობა მის კარიერას დაასრულებდა. მისდა საბედნიეროდ, ჯერჯერობით სასიკეთო ნიშნებია - „ჯერო“ „წითლების“ სასტარტო შემადგენლობას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში დაუბრუნდა და გოლიც გაიტანა. მანამდე, „ლივერპულის“ კაპიტანი სამჯერ სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში. დღეს ის ამბობს, რომ ამ შვიდი თვის განმავლობაში ჰქონდა დღეები, როდესაც სრული უიმედობა იპყრობდა.

31 წლის ჯერარდი ჰყვება: *„როგორც კი საზარდული ვიტკინე, მივხვდი, რომ სერიოზულ ტრავმასთან მექნებოდა საქმე, ისეთთან, როგორსაც შეჩვეული არ ვიყავი. ვცდილობდი ოპტიმისტური განწყობა შემენარჩუნებინა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ნირწამხდარი დავდიოდი. გამოგიტყდებით, ამ ხნის განმავლობაში ისეთი დღეებიც მქონდა, ფეხბურთელობის წლებში არასდროს რომ არ მქონია. ისე, დროგამოშვებით ეჭვი და უიმედობა, ალბათ ნორმალური ადამიანური რეაქციაა“.*

ინგლისის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი წლების განმავლობაში „ლივერპულის“ თილისმად იყო მიჩნეული. გულშემატკივრები ყველაფერს, რასაც გუნდი ბოლო ათწლეულის განმავლობაში იგებდა, სტივი ჯი-ს სახელს უკავშირებდა, მაგრამ არავინ იცოდა, რომ ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში თილისმა საზარდულის ტკივილს ებრძოდა და ისე თამაშობდა. საბოლოოდ, მარტში, მას საოპერაციო მაგიდაზე დანოლა მოუხდა.

„ოპერაციის წინა პერიოდში გაღიზიანებული ვიყავი და გამაყუჩებლის გარეშე სათამაშოდ ვერ გავდიოდი. რასაკვირველია, გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ სწორად არ ვიქცეოდი და ნატკენ საზარდულს საფუძვლიანი მკურნალობა სჭირდებოდა, მაგრამ ისე მინდოდა მოედანზე გასვლა, რომ ოპერაციას ვდებდი და ვდებდი. მოკლედ, ყველა ღონეს ვხმარობდი, რომ ჩემს სხეულს ძველებურად ემოქმედა, მაგრამ სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ეს მე აღარ ვიყავი. გამაყუჩებელი ნემსების კეთება მხოლოდ გარკვეული ხნის განმავლობაში შეიძლება, შემდეგ ორგანიზმი ნებდება. ასე მოუვიდა ჩემსასაც“.

არც ოპერაციის შემდგომი პერიოდი იყო იოლი. ლივერპულელი ბიჭისთვის, რომელსაც მთელი ცხოვრება ერთ კლუბში აქვს გატარებული, საყვარელი გუნდის თამაშის ტრიბუნიდან ცქერა იოლი საქმე არ იყო. თუმცა, ეს ყველაფერი ახლა წარსულს ჩაჰბარდა.

ტრავმის გარდა ჯერარდმა „ლივერპულის“ მეკარის, 29 წლის **პეპე რეინას** ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერილ მოსაზრებებსაც გასცა პასუხი. რეინას წიგნის შესახებ ჩვენ „ლელოს“ მკითხველს ამ ცოტა ხნის წინ მოვახსენებდით და ისიც ვთქვით, რომ ესპანელმა ჯერარდი და „ლივერპულის“ კიდევ ერთი ვეტერანი, **ჯეიმი კარაგერი** კლუბის ყოფილ მეპატრონეებზე დაწერილ თავში მოიხსენია - რეინა წერს, რომ იგი ჯერარდისა და კარაგერისგან **ტომ ჰიკსისა** და **ჯორჯ ჯილეტის** წინააღმდეგ გამოსვლას ელოდა, მათ კი პრინციპული პოზიციის დაკავებას პრობლემებისთვის ნაყრუება ამჯობინეს.



სტივენ ჯერარდი.

„ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც მე ჰიკსისა და ჯილეტის საწინააღმდეგოდ არაფერი მითქვამს, ჩვენი მაშინდელი მწვრთნელი, რაფა ბენიტესი იყო, — თქვა კაპიტანმა — რაფას არ უნდოდა, მეპატრონეების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა რომ მიმეღო. მე ბენიტესს ვკითხე კიდეც, ხომ არ ჩავერიო, მეთქი, მაგრამ მან გაცლა მირჩია. ვფიქრობ, ამის მერე ჩემი მხრიდან ხმის ამოღება არასწორი იქნებოდა. თან, ძალიან მეეჭვება, ჩემი და „კარას“ ჩარევის შემთხვევაში მეპატრონეებს ეთქვათ, კარგი, რაკილა თქვენ ჩაერიეთ, კლუბს 100 მილიონით იაფად გავყიდითო“.

● მოსაზრება

დაანებეთ პრემიერლიგას თავი

ანდრე ვილაშ-ბოაში

„ჩელსის“ პორტუგალიელმა მწვრთნელმა, **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** პრემიერლიგის შეფებს სთხოვა, შეჯიბრების ნაცად და ათწლეულებს გამოტარებულ ფორმატს თავი დაანებონ. ასეთი გახლდათ 34 წლის (ორშაბათს გახდა) სპეციალისტის რეაქცია ზოგიერთი კლუბის უცხოელი მეპატრონის იდეაზე, პრემიერლიგა ჩაკეტონ, ანუ იქიდან არც ვინმე გააგდონ და არც ქვედა ლიგებიდან დააწინაურონ გამარჯვებულები.

ახალ იდეას ინგლისის მენეჯერთა (ანუ მწვრთნელთა) ასოციაციის შეფი, **რიჩარდ ბივენი** აღუდგა და ვილაშ-ბოაშმაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

„ერთ-ერთი, რითაც ინგლისურ ფეხბურთს შეუძლია იამაყოს. ტრადიციაა ის, რამაც საუკუნეზე მეტხანს გაუძლო და რითაც ინგლისური ფეხბურთი თავის ხიბლს ინარჩუნებს. ტრადიციების დარღვევა არ შეიძლება. ეს ისეთი რამ არის, რასაც ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. ჩემი ეს პოზიცია მყარია. პრემიერლიგის ფორმატის ნებისმიერ ცვლას ვეწინააღმდეგები“.

შემდეგ, ვილაშ-ბოაშმა, რომელიც სულ ოთხი თვეა, რაც ინგლისში მუშაობს, თქვა, რომ ვერასოდეს აპატიებს საკუთარ თავს, თუკი იმ ხალხს, ვინც მისგან ახალ გარემოში წარმატებას ითხოვს, იმედს გაუცრუებს. მეორე მხრივ, მან თქვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცის, სერ **ალექს ფერგიუსონის** მსგავს კარიერაზე არ ოცნებობს:

„ნამდვილად არ მინდა ერთსა და იმავე ადგილზე ძალიან დიდხანს ვიმუშაო. აუცილებლად დადგება დრო, როდესაც ვიგრძნობ, რომ აქ მუშაობამ უკვე დამაკმაყოფილა და სხვაგან წავალ. რასაკვირველია, ლამაზი ფეხბურთის თამაში ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იმ კაბინეტში შეხედვაა, სადაც ჯილდოებს ინახავ. სწორედ ამიტომ მინდა, რაც შეიძლება ბევრი ტიტული მოვიპოვო, მითუფრო ისეთ ძლიერ გუნდთან ერთად, როგორიც „ჩელსია“. ამიტომაც არასდროს ვაპატიებ საკუთარ თავს, თუკი „სტემფორდ ბრიჯიდან“ ხელცარიელი წავალ“.

● ტოტენჰემი

ლედლი კინგი

ჯერმაინ დეფო

კინგი ნოემბერში დაბრუნდება, დეფო კი რუნის ეზომება

31 წლის ინგლისელი მცველი, **ლედლი კინგი** გასულ სეზონში დამავებული იყო — ტოტენჰემელმა ექვსი თვე საზარდულის ტრავმის გამო გააცდინა. კინგი „დეზების“ ბოლო შეხვედრაში, „ნიუკასლის“ წინააღმდეგ (2:2) მოედანზე იყო, მაგრამ... ისევ დაშავდა. ექიმებმა თქვეს, რომ მას კვლავ საზარდულის პრობლემა აქვს, თუმცა, ამჯერად ვეტერანს ხანგრძლივი მკურნალობა აღარ დასჭირდება. „სფურზის“ ბანაკი აცხადებს, რომ კინგი მოედანს ნოემბერში დაუბრუნდება.

მისი თანაგუნდელი, 29 წლის თავდამსხმელი, **ჯერმაინ დეფო** თამამად აცხადებს, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე დისკვალიფიცირებულ **უეინ რუნის** შეცვლის. „ნიუკასლ იუნაიტედთან“ ზემოთ ნახსენებ შეხვედრაში დეფომ დაამტკიცა, რომ გოლის ალღო არ დაუკარგავს. ის მოედანზე სათადარიგოთა სკამიდან შევიდა და მიმდინარე სეზონში თავისი მეხუთე გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ რუნის, ჩერნოგორიასთან შესარჩევ შეხვედრაში გაძევების გამო, უეფამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, რაც იმას ნიშნავს, რომ მანჩესტერელი პოლონეთსა და უკრაინაში, ჯგუფური ეტაპის შეხვედრებში ვერ ითამაშებს. შესაბამისად, ნაკრების მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს** მისი შემცვლელი სჭირდება.

დეფო ეროვნულ გუნდში პირველად 2004 წელს გამოჩნდა, რის შემდეგაც 46 შეხვედრაში მონაწილეობდა და 15 გოლი გაიტანა. „დეზების“ ფორვარდმა თქვა:

„როდესაც ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული და ისეთ ფორმაში ვარ, როგორშიც ახლა, გოლების გატანა ნებისმიერ დონეზე შემიძლია, მათ შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც. ინგლისის ნაკრებში კარგი შედეგი მაქვს და ჩერნოგორიასთან შეხვედრის წინ განაცხადში რომ არ შემიყვანეს, ნაწყენი დავრჩი. ახლა ორმაგად მწურია გოლების გატანა. მწვრთნელმა ძალიან კარგად იცის ჩემი შესაძლებლობების ამბავი, ასე რომ, ველოდები რას გადაწყვეტს. მე, ჩემი მხრივ, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა კაპელოს თავი მოვაწონო და გაისად ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდე“.

● გაზეთის აზრით

გაიმარჯვებს სიტი ჩემპიონთა ლიგაზე?

საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ინგლისურმა ტაბლოიდმა, „სანმა“. მან საკუთარ თავს დაუსვა რამდენიმე კითხვა, რომელთაც საბოლოოდ ერთ დიდ კითხვამდე მივყავართ: შეძლებს თუ არა „მანჩესტერ სიტი“ მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას? შეიძლება პირიქითაც ვთქვათ, „სანმა“ მთავარი კითხვა რამდენიმე ქვეშეკითხვად დაყო და თითოეულზე ცალსკე გასცა პასუხი. გთავაზობთ ყველაზე დიდტირაჟიანი ინგლისური გამოცემის ამ მოკლე წერილს, რომელსაც მისი ჟურნალისტები... მთავარ კითხვაზე მკაფიო პასუხის გარეშე სტოვებენ.

მზად არის „სიტის“ შემადგენლობა ასეთ შეჯიბრებაში მოსაგებად?

„მანჩესტერ სიტის“ შემადგენლობისა ევროპის ნებისმიერ გუნდს შურს და თვით „ბარსელონასაც“ კი არ უნდოდა ჯგუფურ ეტაპზე ისტლენდელებთან შეხვედრა, თუმცა ამ ფეხბურთელებს, ერთად, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება არ აქვთ. ასე რომ, ამ კითხვაზე პასუხია: **არა**.

არის რობერტო მანჩინი ის მწვრთნელი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება შეუძლია?

რობერტო მანჩინი იტალიაში მუშაობის წლებში ჯილდოს ჯილდოზე იგებდა, თუმცა, როდესაც საქმე ჩემპიონთა ლიგაზე მიდგებოდა, ის ვერაფერს ახერხებდა. სწორედ ამიტომ გაუშვეს მანჩინი „ინტერიდან“, მისმა შემცვლელმა, **ჟოზე მოურინიომ** კი აჩვენა თუ როგორ უნდა ლიგაში გამარჯვება. ასე რომ, ამ კითხვაზე პასუხია: **არა**.

სჭირდება „სიტის“ კარლოს ტევესი?

ტევესს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებულის მედალი „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშის დროს ერგო, ასე რომ, თეორიულად, ის საჭირო ფეხბურთელი უნდა იყოს, თუმცა ყოველდღიურობა გვაჩვენებს, რომ ისტლენდელები მის გარეშეც შესანიშნავად თამაშობენ. „სიტის“ შეტევაში თავი **ბალოტელიმ, აგუერომ** და **ჯეკომ** გამოიჩინეს. ასე რომ, ამ კითხვაზე პასუხია: **არა**.

შეუშლის სიტის ხელს მისი ფეხბურთელების ეგო?

„ეტიჰედ სთედიუმზე“ ამპარტავანი ფეხბურთელები მართლაც მრავლად არიან. ამის ნათელი მაგალითი თუნდაც კარლოს ტევესის მიუნხენური საქციელია, მაგრამ მანჩინი მტკიცე ხასიათის კაცია და ბევრჯერ დაუმტკიცებია, რომ ტევესის და ჯეკოს მსგავს ამბიციურ ადამიანებთან ურთიერთობა ეხერხება. ასე რომ, ამ კითხვაზე პასუხია: **არა**.

გვერდი მოამზადა
ილია ბაგუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● უეფას წინააღმდეგ

სამართალი უეფასია



სიონის პრეზიდენტის კრისტიან კონსტანტინის სარჩელი არ დაკმაყოფილდა

შვეიცარიის სასამართლომ უეფას წინააღმდეგ საფეხბურთო კლუბ "სიონის" სარჩელი არ დააკმაყოფილა. შეგახსენებთ, რომ კლუბი ევროპის საფეხბურთო მმართველი ორგანიზაციისგან ევროპის ლიგაში დაბრუნებას ითხოვდა, სადაც მას ამ კვირაში ფრანგულ "რენთან" უნდა ეთამაშა. რამდენიმე დღით ადრე უეფაში მივიდა შეტყობინება, რომ ლოზანის სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო 18 ოქტომბერს მის წარმომადგენლებს სხდომაზე იბარებდა. მსგავსი შეტყობინება მივიდა ასევე "უდინეზეს", "სელტიკის", "ატლეტიკოსა" და "რენის" ოფისებში. საქმე ის არის, რომ აღნიშნულმა კლუბებმა, რახან საქმის განხილვა შეიძლება მათ ინტერესებსაც შეხებოდა, თავად ითხოვეს სხდომაზე დასწრებისა და მონაწილეობის უფლება. 14 ოქტომბერს აღნიშნული კლუბების წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს უეფას ოფისში, სადაც წინასწარ განიხილეს "სიონის" ევროპის ლიგაში დაბრუნების სცენარი, თუკი ლოზანის სასამართლო კლუბის სარჩელს დააკმაყოფილებდა. ბუნებრივია, მსგავსი გეგმა უნდა განხილულიყო, რადგან ამ შემთხვევაში კლუბებს ევროპის ლიგის კონკრეტული ჯგუფის ფორმატის შეცვლის შემდეგ უამრავი პრობლემის გადალახვა მოუწევდათ.

სასამართლოს სხდომის დაწყებამდე კლუბებმა და უეფამ ერთდროულად მიმართეს მართლმსაჯულების ორგანოს და სთხოვეს, რომ გადაწყვეტილება მაქსიმალურად მოკლე ვადებში ყოფილიყო გამოტანილი. მათგან განსხვავებით, "სიონის" წარმომადგენელმა იმდენად აშკარად მოინდომა პრაქტიკულად უმიზეზოდ სხდომის გადადება და საქმის გაჯანჯლება, რომ მოსამართლემ მის მოქმედებას "შეურაცხმყოფელი" უწოდა. საბოლოო შედეგის შესახებ უკვე მოგახსენეთ.

აქვე შეგახსენებთ, რომ უეფამ თავის დროზე "სიონი" გათამაშებიდან იმიტომ მოხსნა, რომ "სელტიკთან" ევროპის ლიგის პლეი ოფის შეხვედრაში ისეთი ფეხბურთელები ათამაშა, რომლებიც უეფასთვის გაგზავნილ განაცხადში საერთოდ არ ფიგურირებდნენ, რისი უფლებაც კლუბს, ბუნებრივია, არ ჰქონდა.

● ფიფა

ნაცნობი პრობლემა ფეხბურთში

ფიფას უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი კრის იტონი

ფიფას თქმით, ის ფეხბურთში აქტიური ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარებას იწყებს. ასოციაციის გადაწყვეტილებით, ის იმ ადამიანების წახალისებასა და ამნისტირებას აპირებს, ვინც მათ გარიგებულ შეხვედრებთან დაკავშირებით კონკრეტულ ინფორმაციას მიაწვდის. 1-ლი იანვრიდან ამუშავდება სპეციალური პროგრამა, სადაც საგანგებოდ შერჩეული ხალხი დასაქმდება. ყველას, ვინც კი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფიფასთან თანამშრომლობას გადაწყვეტს, შეეძლება მათ მიმართოს. პროგრამა მათ მატერიალურადაც კი დააჯილდოებს. აღნიშნული განცხადება ფიფას უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა **კრის იტონმა** ფეხბურთელთა პროფესიული გაერთიანების სხდომაზე გამოსვლისას გააკეთა. მისი თქმით, ეს პირველი ნაბიჯი იქნება მთელ მსოფლიოში გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის გზაზე. *"უმნიშვნელოვანესია ფეხბურთელებს ჰქონდეთ შანსი და მოტივაცია, რომ მათთვის ცნობილი ფაქტების შესახებ ჩვენთან ილაპარაკონ. პასუხისმგებლობა, წინააღმდეგობა და ინფორმაცია, აი ის ქვეკუთხედები, რომლითაც შეიძლება ამ სისტემის ანყობა,"* – თქვა იტონმა.

ახლა კი იმ უცნაურობის შესახებ მოგითხრობთ, რაც ამ ზაფხულზე მექსიკის ქალაქ გვადალახარაში გამართული მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატის დროს მოხდა. საქმე ის არის, რომ ჩემპიონატის მიმდინარეობისას სულ 208 დოპინგსინჯი აიღეს და აქედან 109-ს დადებითი პასუხი აღმოაჩნდა. თანაც ყველა კლენბუტეროლზე. ბუნებრივია, ამგვარი მოვლენა არ შეიძლებოდა რამე ექსტრაორდინარულ მოვლენას არ გამოეწვიაო, განაცხადა ფიფას სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელმა **ირუი დვორაკმა**. როგორც გამოძიებამ აჩვენა, ყველაფერი ადგილობრივ ბაზარზე ნაყიდი ხორცის დამსახურება იყო, რომელიც კლენბუტეროლს იმ მიზეზით შეიცავს, **რომ** ადგილობრივი ფერმერები რქოსან პირუტყვს ხშირად უკეთებენ ინიექციას ამ ნივთიერებით. მექსიკის ნაკრების არც ერთ ფეხბურთელს სისხლში არ აღმოაჩნდა აკრძალული ნივთიერება, რადგან მათ გაითვალისწინეს მექსიკის ეროვნული გუნდის წევრების გამოცდილება, რომელთაც ტესტი კლენბუტეროლზე სწორედ გვადალახარაში ყოფნისას ჩააგდეს. ამის გამო ისინი საკვებად ძირითადად თევზსა და ბოსტნეულს იყენებდნენ. ფიფამ უკვე დაადასტურა, რომ ფეხბურთელებიდან არც ერთი არ დაისჯება.

აღნიშნული აკრძალული ნივთიერების ფართოდ "რეკლამირება" მას შემდეგ მოხდა, რაც ის 2010 წელს ტურ დე ფრანსის 2007, 2009 და 2010 წლების ჩემპიონის, ლეგენდარული **ალბერტო კონტადორის** სისხლში აღმოაჩინეს.

● საფრანგეთის ნაკრები

ბლანის უკმაყოფილება

ლორან ბლანი პოლონეთში შექმნილი პირობებით ვერ მოიხიბლა

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ლორან ბლანი** ამ დღეებში პოლონეთში ქალაქ ზაბეჟოვსა და კრაკოვში იმყოფებოდა. პირველში მან საფეხბურთო ბაზა მოინახულა, მეორეში - სასტუმრო, სადაც ის თავის გუნდს ევრო 2012-ის დროს დააბინავებს. მიუხედავად იმისა, რომ ბლანმა არ იცის, სად მოუწევს მის გუნდს თამაშების ჩატარება, მას უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ პოლონეთში დაბინავდეს და არა უკრაინაში. სხვათა შორის, ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის საფეხბურთო კავშირმაც.

ლეგენდარული ფრანგი ვიზიტის შედეგების შესახებ პოლონურ პრესას გაესაუბრა. ბლანმა გულწრფელად განაცხადა, რომ ზაბეჟოვის ბაზაზე მაინცდამაინც მაღალი წარმოდგენის არ დარჩენილა. მუსიე ლორანის ყველაზე მეტი უკმაყოფილება სანვრთნელ ცენტრში არსებულმა სავარჯიშო მინდორმა და ტრიბუნებს ქვეშ არსებული ოთახების მდგომარეობამ გამოიწვია. ბლანი კატეგორიულად მოითხოვს, რომ მომავალი წლის ზაფხულისთვის გაზონი იდეალურ კონდიციებში იყოს. ამასთან, მისი სიგრძე ახლანდელთან შედარებით რამდენიმე მეტრით უნდა გაიზარდოს. ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ ბაზაზე გასახდელები მეტისმეტად პატარაა იმისთვის, რომ ფრანგების მთლიანმა დელეგაციამ ერთდროულად მოახერხოს იქ მოხვედრა. *"35 ადამიანისთვის, ფეხბურთელების, სამწვრთნელო შტაბის, ექიმებისა და მასაჟისტებისთვის ერთდროულად ამ გასახდელებში ყოფნა აბსოლუტურად წარმოუდგენელია. აუცილებელია, რომ ფართობი ბევრად უფრო მეტი იყოს,"* – აღნიშნავს ბლანი.

ბაზის ხელმძღვანელობა თავის მხრივ ბლანს არწმუნებს, რომ მის შენიშვნებს გაითვალისწინებენ და როგორც მინიმუმ გაზაფხულისთვის ყველაფერს წესრიგში მოიყვანენ. მათი თქმით, ნახევარი წელიწადი კიდევ წინ არის და მოსწრებით ყველაფერი მოესწრება, თუმცა დარწმუნებულები არიან, რომ ამდენი დრო ნამდვილად არ დასჭირდებათ. ბლანი ამ დღეებში ქალაქ ვარკასაც ეწვევა, სადაც ის მეორე საფეხბურთო ბაზის დათვალიერებას აპირებს.

● ამბები

ლუის ფერნანდესი

ფერნანდესი ევიანში?

8-მამაშიანი მოუგებელი სერიის შემდეგ "ევიანის" მთავარი მწვრთნელის **ბერნარ კასონის** მომავალი ამ კლუბში საეჭვო გახდა. "ეკიპის" ინფორმაციით, კლუბის ადმინისტრაცია უკვე განიხილავს მის ადგილას სხვა სპეციალისტის მიწვევის შესაძლებლობას. კონკრეტული კანდიდატურა უკვე სახელდება. ლაპარაკია ისრაელის ნაკრების მწვრთნელის, 51 წლის **ლუის ფერნანდესის** შესახებ, ვის კონტრაქტსაც ვადა რამდენიმე დღეში გასდის. ისრაელელები და ფერნანდესი პრაქტიკულად უკვე შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებას არ გაახანგრძლივებენ.

შეგახსენებთ, რომ ლუის ფერნანდესისთვის ლიგა 1-ში ყველაზე დიდი წარმატება შორეული 1996 წლით თარიღდება, როცა მან "პარი სენ ჟერმენთან" ერთად ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიგო. იმავე წელს მან კლუბთან ერთად თასების მფლობელთა თასი მოიგო. ამჟამად "ევიანი" 8 ქულით ცხრილში მე-17 ადგილზეა.

ჯიდევ ერთხელ კორეაში

ლი სუ ჩული კორეული "სანგმუ ფინიქსის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ. გუშინ დილას ის საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ადგილზე მისული ექსპერტების თქმით, პირველადი მონაცემებით მან თვითმკვლელობა ჩაიდინა. ლი ჩუნი რამდენიმე თვის წინ გარიგებულ მატჩებში მონაწილეობისა და საკუთარი გუნდის ფეხბურთელის შანტაჟისთვის გაასამართლეს და პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს. აღსანიშნავია, რომ მისი გუნდი ყველაზე უფრო მეტად გათხვრილი აღმოჩნდა ამ სკანდალში. სულ სამართალდამცავებმა 50 კაცი დააკავეს, აქედან "სანგმუ ფინიქსის" 9 ფეხბურთელი.

ვენგერი ჰსუ-ს აქებს

"მარსელიან" ჩემპიონთა ლიგაში დაპირისპირების წინ ვენგერმა მრავალ საინტერესო თემაზე ილაპარაკა. ერთ-ერთი, რასთან დაკავშირებითაც მისი მოსაზრებებით დაინტერესდნენ, ეს "მარსელისა" და "პარი სენ-ჟერმენის" შედარება იყო. აი, რას ამბობს ის: "ვფიქრობ, დგება დრო, როცა დედაქალაქელებს შეეძლებათ "მარსელს" ქამარში სწვდნენ. ბოლო ათწლეულში ლიგა 1-ს "ლიონი" ლიდერობდა, შემდეგ იყო "მარსელი" და ახლა "ლილი". ყველაფერი იცვლება. ახლა ალბათ ჰსუ-ს დრო დგება. რატომაც არ უნდა მოიგოს მან ჩემპიონატი? მშვენიერი გუნდია," – თქვა ვენგერმა.

ზედიზედ მეცხრედ!

ფიფას ვიცე-პრეზიდენტი, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ხულიო უმბერტო გრონდონა** ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად ზედიზედ მეცხრედ აირჩიეს. 80 წლის ფუნქციონერს პირველად ზუსტად 32 წლის წინ, 1979 წელს ანდეს არგენტინული ფეხბურთი. ფედერაციის ყრილობაზე დამსწრე 46 დელეგატიდან ხმა მას უკლებლივ ყველამ მისცა. ყრილობის პარალელურად ფედერაციის შენობასთან მცირერიცხოვანი მიტინგი იმართებოდა, რომელზეც სენიორ ხულიოს დიქტატორს უწოდებდნენ.

გვერდი მოამზადა
ლევან გიგილაშვილმა

ხულიო უმბერტო გრონდონა

● იუვენტუსი

დელ პიეროს ბოლო სეზონი იუვეში

რას იზამს ლეგენდარული კაპიტანი?

ალესანდრო დელ პიერო

თანამედროვე ფეხბურთში იშვიათი მოვლენაა მოთამაშემ მთელი საფეხბურთო კარიერა ერთ გუნდს შესწიროს, ერთ-ერთი ასეთი იშვიათთაგანი კი „იუვენტუსის“ ლეგენდარული კაპიტანი, **ალესანდრო დელ პიერო** გახლავთ. მართალია, 1991-1993 წლებში ალექსი „პადოვაში“ ასპარეზობდა, მაგრამ ეს მისი კარიერის საწყისი წლები იყო და სათვალავში არც უნდა ჩავთვალოთ. აი შემდეგ კი დაიწყო დიდი ერა, რომელიც 18 სეზონს, 495-ზე მეტ შეხვედრას და 205 გოლს ითვლის. მართლაც შთამბეჭდავი სტატისტიკაა, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და დელ პიეროს ტურინული კარიერაც ფინიშისკენ მიექანება. დიახ, „იუვენტუსის“ პრეზიდენტის, **ანდრეა ანიელის** მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ალესანდრო უკანასკნელ სეზონს ატარებს გუნდთან ერთად და მაისიდან შესაძლებლობა მიეცემა კლუბის ადმინისტრაციაში გადაინაცვლოს. მოვუსმინოთ ანიელის:

„დასამალი არაფერია, ანტონიო კონტემ სრულიად ახალი გუნდის შექმნა დაისახა მიზნად, რომელშიც ძველი გვარდიიდან მხოლოდ ჯანლუიჯი ბუფონის ადგილი მოიძებნა. ალესანდრო დელ პიეროს ძალიან უნდოდა ახალ სტადიონზე თამაში და გამომდინარე აქედან, ხელშეკრულების კიდევ ერთი სეზონით გახანგრძლივება გვთხოვა. ბუნებრივია, უარზე არ წავედით და ალეს ახალ სტადიონზე ასპარეზობის საშუალება მივეცით. თუმცა, მაისში მის ხელშეკრულებას ვადა ეწურება და გადაწყვეტილი ამბავია, რომ მას აღარ გავახანგრძლივებთ. აქვე, მინდა დელ პიეროსადმი ჩემი უდიდესი პატივისცემა გამოვხატო, გუნდის ცოცხალი ლეგენდაა და კარგი იქნება თუ კლუბის ადმინისტრაციაში გააგრძელებს მუშაობას. ოფიციალური წინადადებით მას ზამთარში მივმართავთ და ამით რამდენიმე თვეს მივცემთ მოსაფიქრებლად“.

ჯერჯერობით, დელ პიეროს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია და უცნობია, რას აპირებს სეზონის დასრულების შემდეგ. თუ კარიერის დასრულება აქვს განზრახული, ალბათ ანიელის შეთავაზებას სიამოვნებით დათანხმდება, მაგრამ თუ ჯერ კიდევ სურს ფეხბურთის თამაში, მაშინ გუნდის გამოცვლაზე უნდა იფიქროს. ძნელი სათქმელია რა გადაწყვეტილებას მიიღებს ალე, მაგრამ ერთ-ერთი მისი კომენტარი გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს - ეს სიტყვები დელ პიერომ დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ თქვა, თუმცა არათუ დაძველდა, დროის სვლასთან ერთად, უფრო აქტუალური გახდა:

„დავასრულებ თუ არა კარიერას „იუვენტუსში“? - ეს იმაზეა დამოკიდებული, როდემდე ვიქნები ტურინული გრანდისთვის საჭირო და როდის მომმბეზრდება ფეხბურთის თამაში. თუ კარიერის დასრულების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, „იუვესთვის“ ჩემს საჭიროებას დაასწრებს, მაშინ კარიერას სწორედ „ვეკია სენიორაში“ დავასრულებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ახალ გუნდს მოვძებნი. ერთი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ახალი გუნდი იტალიური არ იქნება - ვერასდროს წარმომიდგენია თავი „იუვენტუსის“ მეტოქის რანგში და არ მინდა ეს ოდესმე მოხდეს. ასე რომ, თუ საჭიროებამ მოიტანა, კარიერას უცხოეთში გავაგრძელებ, შესაძლოა კონტინენტსაც კი გავცდე და ვთქვათ ამერიკაში, ან იაპონიაში მოვსინჯო ძალები. ამაზე მეტს დღეს ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ არც კარიერის დასრულებას ვაპირებ და არც „იუვეს“ მესვეურებს უთქვამთ, შენი დრო ამოიწურაო“.

დელ პიეროს უკვე უთხრეს, რომ მისი დრო ამოიწურა - საკითხავი ისღაა, მოჰბეზრდა თუ არა „იუვეს“ ლეგენდარულ კაპიტანს ბურთის გორება.

ლაშა წიკლაური

● ლაციო

კლოზე: ნაციზმთან არაფერი მაკავშირებს

ცნობილი ამბავია, რომ „ლაციო“ **ბენიტო მუსოლინის** საყვარელი გუნდი გახლდათ და „ბიანკოჩელესტეს“ მხურვალედ გულშემატკივრობდა. იმ პერიოდიდან, როდესაც იტალიას დუჩე მართავდა, დიდი დრო გავიდა, მაგრამ „ლაციოს“ გულშემატკივრები დღემდე ვერ ივიწყებენ მუსოლინის და როგორც ჩანს, სწორედ მის საპატივსაცემოდ იყენებენ ძალიან ხშირად ნაცისტურ სიმბოლიკებს. ამის გამო, რომაული კლუბი არაერთხელ დაჯარიმებულა, თუმცა საქმეს ვერც ეს შველის.

ბოლოს, ასეთ ინციდენტს რომაულ დერბიზე ჰქონდა ადგილი, როდესაც ტრიბუნებზე მყოფმა რამდენიმე ტიფოზმა **მიროსლავ კლოზეს** ბანერი გამოუკიდეს - აღნიშნულ ბანერზე ნაცისტური შრიფტით, გერმანულ ენაზე გახლდათ მიწერილი: KLOZE MIT UNS, ანუ კლოზე ჩვენთან არის. ბუნებრივია, ამ ამბავს იტალიურ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ჟურნალისტები აზრს თავად მიროსაც დაეკითხნენ. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კლოზემ თავი შორს დაიჭირა ნაცისტური მოძრაობისგან, თუმცა არც ქომაგთა კრიტიკით გამოუდვია თავი - ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან: არც მწვადი დაწვა და არც შამფური:

„ვერ გეტყვით, რა ბანერი გამოკიდეს ტრიბუნებზე, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: არავითარი კავშირი ნაცისტურ მოძრაობასთან არ მაქვს. რაც შეეხება გულშემატკივრებს, მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ტრიბუნებიდან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდი, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ. დანარჩენი ჩემი საქმე არ არის და ვერც ვერავის ვუკარნახებ როგორ იცხოვროს, ვინ უყვარდეს და ვინ არა“.

ლაშა წიკლაური

● მოსაზრება

ტიაგო მოტა

მოტა კონკურენტებს დაემუქრა

იქაც და აქაც

ჩემპიონთა ლიგაში „ინტერის“ მიერ „ლილის“ დამარცხებით გაგულისებულმა ტიაგო მოტამ პრესასთან კომენტარი გააკეთა და კონკურენტებს სულ თითი უქნია როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ეროვნულ ჩემპიონატში. მოვუსმინოთ მოტას და ამაში თქვენც დარწმუნდებით...

ჩემპიონთა ლიგა

გასულ სეზონში, ყველაზე რთული პერიოდი მაშინ გვედგა, როდესაც კიევში „დინამოსთან“ წავაგეთ და ფაქტობრივად გამოვეთიშეთ ლიგის თასისთვის ბრძოლას. თუმცა, შემდეგ ყველა დარჩენილი თამაში მოვიგეთ და პლეი ოფშიც გავედით. აქედან გამომდინარე, „ტრაბზონსფორთან“ განცდილი მარცხის შემდეგ, არ შემშინებია და მომდევნო პაექრობებს სრულიად მშვიდად დაველოდე. საბედნიეროდ, მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოვიპოვეთ და სატურნირო ცხრილს სათავეში ვუდგავართ.

ბევრისთვის ეს უტოპიაა, მაგრამ ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. ეს ერთხელ უკვე გაკეთებული გვაქვს და ვერ ვხვდები, რატომ არ უნდა გავიმეოროთ იგივე. შესაძლებლობებით არც ერთ გუნდს არ ჩამოვუვარდებით და ყველასთან ტოლ-სწორად ძალგვიძს თამაში. დარწმუნებული ვარ, ჯგუფურ ტურნირს წარმატებით დავძლევთ, შემდეგ კი არავის ვუსურვებდი ჩვენთან შეხვედრას.

სერია A

რატომღაც ბევრმა ჩამოგვწერა, არადა, ჩემპიონატის დაწყებიდან სულ რაღაც ექვსი ტურია გასული და ყველაფერი წინ არის. უამრავი მაგალითი შემიძლია გითხრათ, როდესაც გუნდმა ტურნირი წარუმატებლად დაიწყო, მაგრამ შემდეგ ამოქაჩა და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა. საკმარისია ოთხი-ხუთი შეხვედრა მიჯრით მოვიგოთ და კვლავ სკუდეტოს მაძიებელთა შორის მოვხვდებით.

უახლოეს შეხვედრას „კიევოსთან“ ვატარებთ და ძალიან კარგი შანსი გვაქვს წარმატებული სერიის დასაწყებად. ჩვენს შესაძლებლობებში ბოლომდე ვარ დარწმუნებული და მჯერა, აღმასვლა სწორედ მომდევნო პაექრობიდან დაიწყება. შემდეგ კი ყველა უნდა გვიფრთხილდეს, რადგან კარგ ფორმაში მყოფი „ინტერის“ შეჩერება ურთულესი იქნება.

ლაშა წიკლაური

● სარჩელი

სტანდარდი პორტუს უჩივლებს

ლიეჟის "სტანდარდი" "პორტუს" წინააღმდეგ უეფაში სარჩელის შეტანას აპირებს, რადგან ევროპის ლიგის მოქმედმა გამარჯვებულმა **სტივენ დეფურისა** და **ელიაკიმ მანგალას** ტრანსფერისას დადებული პირობა დაარღვია და ბელგიურ კლუბს პირველი ტრანში დაუგვიანა. აგვისტოში ფეხბურთელებმა პორტუგალიურ კლუბს მიაშურეს, რის სანაცვლოდაც ლიეჟელებს 12,7 მილიონი ევრო უნდა მიეღოთ. "პორტუ" თავის მხრივ თავს იმით იმართლებს, რომ "ატლეტიკოსგან" **რადამელ ფალკაოსთვის** კუთვნილი თანხა არ მიულია, თუმცა ბელგიელებს ეს პრობლემა ნაკლებად აღელვებთ.

ლევან გიგილაშვილი

Made in GERMANY
REHAU
Unlimited Polymer Solutions
ენერგოდამზოგავი ფანჯრები
დაიცავს სითბოს. დაგიზოგავთ ფულს.

შეიძინეთ ფანჯრები „ენერგოეფექტურობით“ და დაიბრუნეთ ღირებულების 15% უკან
ა-ვე ლუქსი რეჰაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
ხეთელიძის 2 245 02 05 www.fanjara.ge

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რეალი საშიშია!

მანჩესტერს ორი გმირი ჰყავს: კუნი და რუნი

„რეალის“ ფეხბურთელებმა ყოზე მოურინიო თავის მე-100 ევრომატჩში ბრწყინვალე ფეხბურთით ასიამოვნეს. სამაგიეროდ, გაუჭირდათ მანჩესტერელებს – „იუნაიტედს“ უეინ რუნიმ უშველა, „სიტის“ კი სერხიო აგუერომ. „ინტერმა“ „ლილთან“ დაამტკიცა, რომ მოგება ჯერ კიდევ შეუძლია.

A ჯგუფი

ნაპოლი-ბაიერნი 1:1

გოლები: 0:1 ჯროოსი (2), 1:1 ბადშტუბერი (39-საკ. კარში)

ბურთის ფლობა: 47%-53%; **დარტყმა**: 2-15; **კუთხურები**: 4-5

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: უგო კამპანიარო (ნაპოლი)

ქულა უნდოდა, ქულა აიღო: მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნმა“ ვერ მოიგო და 12-მატჩიანი პაუზის შემდეგ გოლიც გაუშვა, მიუნხენელები პირველ ადგილზე დარჩნენ და შესაბამისად, კმაყოფილები არიან. იტალიურმა კლუბმა თავდაუზოგავად იბრძოლა და რომ არა რეკორდმაისტერის ნაადრევი გოლი, შესაძლოა, მოვლენები მიუნხენური გრანდისთვის უფრო ცუდადაც განვითარებულიყო. თავის მხრივ, ამ თამაშის მოგება „ბაიერნსაც“ შეეძლო – **იუპ ჰაინკესის** ბიჭებს რეალური თუ ნახევრადმომენტები მრავლად ჰქონდათ. საბოლოო ჯამში, ერთადერთი რამ, რაზეც ბაიერნელებს გული დასწყდათ, იყო ის, რომ ოფიციალურ მატჩებში 1147-წუთიანი უგოლო სერია მე-13 შეხვედრაში შეწყდა. უკმაყოფილო გახლდათ **მარიო გომესიც**, რომელმაც პენალტი ვერ გაიტანა.

„ბაიერნი“ იმდენად კარგ ფორმაშია, რომ ფრითაც კმაყოფილები უნდა ვიყოთ, მაგრამ მაინც გული მწყდება, რადგან თამაშის დროს აშკარად დავინახე, რომ მოგებაც შეგვეძლო. რაც მთავარია, მერვედფინალისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ და თანაც, არცთუ ურიგო შანსით,“ - ეს ნეაპოლელთა დამრიგებლის, **ვალტერ მაძარის** სიტყვებია.

მანჩესტერ სიტი-ვილიარეალი 2:1

გოლები: 0:1 კანი (4), 1:1 მარჩენა (43-საკ. კარში), 2:1 აგუერო (93)

ბურთის ფლობა: 58%-42%; **დარტყმა**: 16-15; **კუთხურები**: 5-3

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ალეკსანდარ კოლაროვი (მანჩესტერ სიტი)

შევიდა, ნახა, გაიმარჯვა: **სერხიო აგუერო** 62 წუთის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მიხვდა რა, რომ „სიტის“ მხოლოდ ის თუ იხსნიდა, **რობერტო მანჩინიმ** არგენტინელი მოედანზე შეუშვა. სერხიო კი კიდევ ერთხელ გახდა გმირი. აგუერომ უკანასკნელ წამზე გაიტანა გოლი და „სიტის“ ძალიან საჭირო სამი ქულა „ჩაახუტა“.

აგუეროს გამოჩენამდე მანჩესტერელებს საქმეები ცუდად მისდიოდათ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თამაში ჯერ ხეირიანადაც კი არ იყო გახურებული, როცა „ვილიარეალი“ **კანის** გოლით დაწინაურდა. ეს გოლი **დავიდ სილვას** სინდისზეა, რომელმაც კანის გოლამდე ბურთი კატასტროფული შეცდომის წყალობით დაკარგა: **როსის** შესანიშნავ დარტყმას „სიტის“ მეკარე **ჰარტი** კი გაუმკლავდა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა, მერე კი კანიმ ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა. მანჩესტერელებს შოკიდან გამოსასვლელად დაახლოებით 10 წუთი ეყოთ, პირველი ტაიმის შუიდან კი მოედანზე მიმდინარე პროცესებზე კონტროლი დაამყარეს. მანჩინის შეგირდთაგან ყველაზე მეტად მარცხენა მცველი **კოლაროვი** აქტიურობდა, რომელმაც ესპანელთა დაცვის მარჯვენა ფლანგიც აიკლო, შესაშური ჩაწოდებებითაც გამოირჩეოდა და მის მიერ შესრულებული ყველა სტანდარტულიც უაღრესად სახიფათო გახლდათ. მანჩესტერელთა პრობლემა მხოლოდ მომენტების გამოუყენებლობა გახლდათ – ეს განსაკუთრებით **ედინ ჯეკოს** ეხება. აქედან გამომდინარე, თითქოს სიმბოლური იყო ის, რომ „სიტიმ“ წონასწორობა კარლოს **მარჩენას** ავტოგოლის წყალობით აღადგინა.

მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა: „ვილიარეალი“ თავს იცავდა, „სიტი“ კი უტევდა, მაგრამ მანჩინის გუნდს გადამწყვეტ მომენტში ალღო აკლდა. მერე „მანჩომ“ მოედანზე აგუერო შეუშვა და ამის შემდეგ რაც მოხდა, ამაზე უკვე ვისაუბრეთ...

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბაიერნი	3	2	1	0	5-1	7
2. ნაპოლი	3	1	2	0	4-2	5
3. მანჩესტერ სიტი	3	1	1	1	3-4	4
4. ვილიარეალი	3	0	0	3	1-6	0

B ჯგუფი

სსკა-ტრაბზონსპორი 3:0

გოლები: 1:0 დუმბია (29), 2:0 ცაუნა (76), 3:0 დუმბია (86)

ბურთის ფლობა: 43%-57%; **დარტყმა**: 13-14; **კუთხურები**: 1-9

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: სეიდუ დუმბია (სსკა)

სამი ხედირა ლიონის კარში გატანილ გოლს ზეიმობს

აი, ასე სწრაფად ხდება ხოლმე ყველაფერი ჩემპიონთა ლიგაში: მესამე ტურის წინ მოსკოვის სსკა ბოლო ადგილზე იყო, „ტრაბზონთან“ კარგად ჩატარებული 90 წუთის შემდეგ კი უკვე მეორე ადგილზეა და შესაბამისად, რუსები მერვედფინალზე ოცნებობენ. მართალია, მატჩის დასაწყისში თურქებს საკმაოდ კარგი, ყოველ შემთხვევაში, მეტოქეზე უკეთესი მომენტები შეექმნათ, მაგრამ საერთო ჯამში სსკა-მ მეტოქე დაჯაბნა და ანგარიშიც ლოგიკურია.

ისე, რუსებმა პირველი რეალური მომენტი მხოლოდ 23-ე წუთზეღა შექმნეს. ეს **ალან ძაგოევმა** გააკეთა, რომლის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ტრაბზონელთა კარს ბურთი სანტიმეტრებში ასცდა. ექვსი წუთის შემდეგ, **სეიდუ დუმბიამ** მომენტი უკეთ გამოიყენა: **ვაგნერ ლავთან** გათამაშებული კომბინაციის წყალობით, თურქი მცველები გათიშა და მოსკოველები დაანინაურა. რუსები მეორე ტაიმშიც საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ – თავად განსაჯეთ, მეორე გოლამდე ორი შესანიშნავი შანსი გაანიავეს. მეორე გოლი კი სსკა-მ 76-ე წუთზეღა გაიტანა: ვაგნერ ლავმა **ალექსანდერ ცაუნას** მარჯვენა ფლანგიდან ბურთი პირდაპირ ფეხზე დაასვა, ამ უკანასკნელს კი ძალიან ლამაზი გოლი გამოუვიდა. ამ გოლმა თურქეთის ვიცე-ჩემპიონი უფრო არია და ათ წუთში დუმბიამ დუბლიც გაიფორმა.

თურქებმა პირველ ტურში „ინტერს“ მილანში რომ მოუგეს, ბევრის აზრით, „ტრაბზონსპორს“ ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლა შეეძლო, მაგრამ ამ შეხვედრამ გამოაჩინა, რომ თურქებს არ შესწევთ თუნდაც მეორე ადგილისთვის ბრძოლის უნარი – მიუხედავად იმისა, რომ შანსი ჯერაც მშვენიერი აქვთ.

ლილი-ინგერი 0:1

გოლი: 0:1 პაცინი (21)

ბურთის ფლობა: 59%-41%; **დარტყმა**: 17-5; **კუთხურები**: 12-3

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ჯამპაოლო პაცინი (ინტერი)

ამ გამარჯვებისთვის „ინტერს“ დადებითი ეპითეტებით ვერ შევამკობთ, რადგან „ნერაძურიმ“ თავი ვერაფრით მოგვაწონა, მაგრამ რაც მთავარია, მილანელები შინ სამი ქულით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ, ეს კი კლაუდიო რანიერის გუნდს მაგრად სჭირდებოდა.

ჯამპაოლო პაცინიმ ერთადერთი და გამარჯვების გოლი ფაქტობრივად არაფრისგან გაიტანა - მილანური გრანდი „ლილს“ არც მანამდე სჯობდა და მერე ხომ მით უმეტეს გაფრთხილდა. 21-ე წუთზე გამოჯანმრთელებული **სნეიდერის** მიერ დაწყებული შეტევა **სარატემ** განაგრძო და პაცინი იდეალური პასით მოამარაგა, ამ უკანასკნელმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, იშვიათი საგოლე ალღო რომ აქვს – ანგარიში 11 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გახსნა. რაც დარჩენილ 70 წუთში მოხდა, სალაპარაკოდ არც ღირს. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ მოგვიანებით მოედანზე მარსელის „ოლიმპიკის“ ფორმაში გამოწყობილი კაცი შევარდა და მაყურებლებთან ერთად ფეხბურთელებიც გაახალისა, საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე კი, „ინტერის“ საჯარიმოში განხორციელებულ ჩაწოდებას ქაოსი მოჰყვა, მაგრამ „ნერაძური“ ამ სიტუაციიდან უვნებელი გამოძვრა.

ის, რომ პირველ ტურში „ინტერი“ ტრაბზონთან შერცხვა, ქომაგების ნახევარზე მეტს უკვე აღარ ახსოვს, რადგან მილანელები ახლა უკვე პირველ ადგილზე არიან...

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ინტერი	3	2	0	1	4-3	6
2. სსკა	3	1	1	1	7-5	4
3. ტრაბზონსპორი	3	1	1	1	2-4	4
4. ლილი	3	0	2	1	3-4	2

C ჯგუფი

ოცელული-მანჩესტერ იუნ. 0:2

გოლები: 0:1 რუნი (64-პენ), 0:2 რუნი (94-პენ)

ბურთის ფლობა: 37%-63%; **დარტყმა**: 15-11; **კუთხურები**: 2-1

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მოწოდების სიმაღლეზე ისევ ვერ იდგა და „ოცელულის“ ადგილზე სხვა საშუალო ან საშუალოზე დაბალი დონის გუნდი ამ შანსს მინიმუმ ზუსტად ისე გამოიყენებდა, როგორც „ბაზელმა“ გამოიყენა მეორე ტურში, როცა „ოლდ ტრეფორდზე“ ფრეს (3:3) მიაღწია. რუმინელები დაცვაში მაქსიმალური კონცენტრაციით თამაშობდნენ და პრინციპში, სწორ გზაზე იდგნენ, მაგრამ მერე **უეინ რუნი** გაიხსნა...

შეიძლებოდა ასეც გვეთქვა: ...მაგრამ მერე **სერგიუ კოსტინს** რაღაც დაემართა. „ოცელულის“ კაპიტანმა, რომელიც მანამდე ძალიან კარგად თამაშობდა, 64-ე წუთზე რუნის ჩაწოდების შემდეგ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა. თუ რატომ გააკეთა ეს, ალბათ თვითონაც არ იცის. იგივე უნდა ვთქვათ **ლივიუ ანტალზეც**, რომელმაც რუნი ასევე უაზროდ წააქცია საჯარიმოში. ფაქტი ის არის, რომ რუნიმ ორივე პენალტი იოლად გაიტანა. ორი სისულელე „ოცელულის“ ფეხბურთელებისგან, ორი თერთმეტმეტრიანი, ორჯერ რუნი და 0:2 – სულ ეს იყო.

ჰო, კიდევ ისიც, რომ 25 წლის რუნი ამ დუბლის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე შედეგიანი ინგლისელი ფეხბურთელი გახდა. მას ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში უკვე 26 გოლი აქვს გატანილი, რითაც **პოლ სქოულზს**, **ფრენკ ლემპარდს** და **სტივენ ჯერარდს** გაასწრო.

ბაზელი-ბენფიკა 0:2

გოლები: 0:1 სეზარი (20), 0:2 კარდოსო (75)

ბურთის ფლობა: 56%-44%; **დარტყმა**: 16-10; **კუთხურები**: 2-4

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ბრუნო სეზარი (ბენფიკა)

ვინც ფიქრობს, რომ თამაშის კონტრშეტევებზე აგება თანამედროვე ფეხბურთში უკვე უაზრობაა, ეს მატჩი საპირისპიროს დაუმტკიცებდა. საქმე ისაა, რამდენად ეფექტურად ითამაშებ კონტრშეტევების დროს... „ბაზელი“ „ბენფიკასთან“ ბურთსაც უფრო დიდხანს ფლობდა და შვეიცარიელებმა ორჯერ მეტი მომენტიც შექმნეს, მაგრამ...

პორტუგალიელებმა ორი ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაიტანეს, განსაკუთრებით თვალსასაჩინო კი **ბრუნო სეზარის** გოლი გახლდათ, რომელმაც **გაიტანთან** ბრწყინვალე კომბინაცია გაითამაშა, **როდრიგო** ამ უკანასკნელის პასს ჭკვიანურად გადაახტა, სეზარმა კი ლისაბონელები დააწინაურა. მეორე გოლი **კარდოსოს** ნიჭის დამსახურება გახლდათ: მან შორეული საჯარიმო დარტყმა შვეიცარიელთა კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში ბილიარდის სიზუსტით ჩასვა. ბოლოს „ბაზელის“ ფეხბურთელებს ნერვები მოეშალათ და სამ ყვითელთან ერთად, ერთი წითელი ბარათიც დაიმსახურეს, მაგრამ ეს ყველაფერი ლისაბონელებს, რა თქმა უნდა, არ აინტერესებთ. სამი ტურის შემდეგ „ბენფიკა“ ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბენფიკა	3	2	1	0	4-1	7
2. მანჩესტერ იუნ.	3	1	2	0	6-4	5
3. ბაზელი	3	1	1	1	5-6	4
4. ოცელული	3	0	0	3	1-5	0

D ჯგუფი

რეალი-ლიონი 4:0

გოლები: 1:0 ბენზემა (19), 2:0 ხედირა (47), 3:0 ლორისი (55-საკ. კარში), 4:0 სერხიო რამოსი (81)

ბურთის ფლობა: 62%-38%; **დარტყმა**: 18-8; **კუთხურები**: 8-1

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ქარიმ ბენზემა (რეალი)

მატჩის წინ **ყოზე მოურიონიომ** თქვა, გვინდა, რაც შეიძლება სწრაფად გავინაღდოთ მერვედფინალში თამაში და წელს უფრო შორს გავიდეთ, ვიდრე შარშანო, რაც მისმა შეგირდებმა ყურად იღეს და „ლიონს“ შავი დღე აყარეს – ესეც რბილი ნათქვამია. ამრიგად, მითი იმის შესახებ, რომ ეს ფრანგული კლუბი „რეალისთვის“ პრობლემატური მეტოქეა, უკვე საბოლოოდ დამსხვრეულია. ლორისის კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა, საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს კი მადრიდელები ფრანგებს აბსოლუტურად არაფერს აბედინებდნენ. მიუხედავად ამისა, ყოზეს ბიჭებმა პირველი ტაიმი მხოლოდ ერთბურთიანი უპირატესობით მოიგეს, მაგრამ რაც „ლიონს“ მატჩის პირველ ნახევარში დააკლეს, მეორეში ბოლომდე აუნაზღაურეს.

თამამად უნდა ვთქვათ, რომ ასეთ ფორმაში მყოფი „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის მოგების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია – მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ცუდ ფორმაში მყოფი „ლიონი“ „სამეფო გუნდის“ ძალების რეალურ საზომად არ გამოდგება...

დინამო (ზ)-აიაქსი 0:2

გოლები: 0:1 ბოერიგტერი (49), 0:2 ერიკსენი (90)

ბურთის ფლობა: 43%-57%; **დარტყმა**: 14-19; **კუთხურები**: 2-9

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: დერკ ბოერიგტერი (აიაქსი)

ზაგრების „დინამომ“ ძალიან მოინდომა, რაც განსაკუთრებით **რუკავინაზე** ითქმის, რომელიც მარცხენა ფრთაზე გადარეულივით დარბოდა, მაგრამ „დინამომ“ მაინც ვერ შეძლო თუნდაც რამდენიმე რეალური საგოლე მომენტის შექმნა. ამსტერდამელებმა კი მეტოქე ჯერ კარგად დაზვერეს, მერე კი, დაინახეს რა, რომ ხორვატები ტყუილად ბაქიბუქობდნენ, კლასის ხარჯზე საკმაოდ მარტივად მოუგეს.

ამ გამარჯვების წყალობით **ფრანკ დე ბურის** გუნდი მერვედფინალის საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს, „დინამო“ კი ამიერიდან მხოლოდ მესამე ადგილზე თუ იოცნებებს, მაგრამ ამ პოზიციასაც უკვე 4 ქულით ჩამორჩება. ასე რომ...

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	3	3	0	0	8-0	9
2. აიაქსი	3	1	1	1	2-3	4
3. ლიონი	3	1	1	1	2-4	4
4. დინამო (ზ)	3	0	0	3	0-5	0

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მე-3 ტურის ყველა მატჩი გაილია და უდანაკარგო მხოლოდ მადრიდის „რეალი“ დარჩა. მართალია, 9-9 ქულა არა აქვთ „ბარსელონასა“ და „მილანს“, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ ჯგუფში მათ ვერავინ შეეცილება - ბატე და „პლზენი“ ამ გრანდებს ბევრად ჩამორჩებიან. საოცარი მატჩი მოიგო „ველოდრომზე“ „არსენალმა“- **არსენ ვენგერს** ახალი შეშვებული ჰყავდა მოედანზე ფეხბურთელი **არონ რემსი**, როცა ამ უკანასკნელმა მატჩის ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა. არადა, ფრანგ სპეციალისტს ნათქვამი ჰქონდა, თუკი „ველოდრომზე“ მოვიგებთ, ჩათვალეთ, რომ პლეი ოფში ვართო. **ფერნანდო ტორესმა** „ჩელსის“ მაისურით პირველი დუბლი შეასრულა და კიდევ, საოცარია, მაგრამ ფაქტია - H ჯგუფში კვიპროსული აპოელ-ი ლიდერობს!

E ჯგუფი

ლევერკუზენი-ვალენსია 2:1

ლევერკუზენი (4-2-3-1): ლენო– კასტრო, რაინარტცი (46. ფრიდრიხი), ტოპრაკი, კადლეცი – როლფესი, ლ. ბენდერი – სემი (90. შვაბი), ბალაკი, შიურლე - კისლინგი (80. დერდიოკი).

ვალენსია (4-4-2): დიეგო ალვეში – მიგელი, რამი, ვიქტორ რუისი, ხორდი ალბა (65. კანალესი) – პაბლო ერნანდესი (65. ფეგული), ალბელდა (82. ადურისი), ბანეგა, მატიო – სოლდადო, ჟონასი.

გოლები: 0:1 ჟონასი (25), 1:1 შიურლე (53), 2:1 სემი (56)

გაფრთხილება: როლფესი, კისლინგი, შიურლე - ბანეგა, ალბელდა, მიგელი

კუთხური: 4-7; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 10-11 (7-8); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

მაყურებელი: 26 384

არბიტრი: კ. ტომსონი (შოტლ)

ჩელსი-გენკი 5:0

ჩელსი (4-3-3): ჩეხი – ბოსინგვა (78. ალექსი), დავიდ ლუიზი, ივანოვიჩი, კოული (46. ფერეირა) – რომეუ, მეირელეში, ლემპარდი (68. კალუ) – ანელკა, ტორესი, მალუდა.

გენკი (4-4-2): კოტელესი – ნგონგჰა, მასუერო (46. კამუსი), ტოცერი, პუდილი – ჰილანდი, დე ბრუინი, ბაფელი ვანდენ ბორი - ვოსენი (81. ნვანგანგა), ბარდა (71. დიუგარი).

გოლები: 1:0 მეირელეში (8), 2:0 ტორესი (11), 3:0 ტორესი (27), 4:0 ივანოვიჩი (42), 5:0 კალუ (72)

გაფრთხილება: ლუიზი - ჰილანდი, პუდილი

კუთხური: 5-4; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 26-5 (15-1); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

მაყურებელი: 38 518

არბიტრი: ა. ნიკოლაევი (რუს)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩელსი	3	2	1	0	8-1	7
2. ლევერკუზენი	3	2	0	1	4-3	6
3. ვალენსია	3	0	2	1	2-3	2
4. გენკი	3	0	1	2	0-7	1

F ჯგუფი

მარსელი-არსენალი 0:1

მარსელი (4-3-3): მანდანდა – ასპილიკუეტა, ნ'კულუ, დიავარა, მორელი – ლუჩო გონსალესი (73. ამალფიტანო), დიარა, შეირუ (87. კაბორე) – ვალბუენა, რემი (69. ჟინიაკი), ჯ. აიუ.

არსენალი (4-2-3-1): ჟენსნი – ჯენკინსონი (62. ჯურუ), მერტეზაკერი, კოშელნი, სანტოსი – არტეტა, სონგი - როსიცკი, უოლკოტი (67. ფერვინიო), არშავინი (78. რემსი) - ვან პერსი.

გოლი: 0:1 რემსი (90)

გაფრთხილება: აიუ, დიავარა, ჟინიაკი - სონგი, სანტოსი, ჯურუ

კუთხური: 1-9; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 7-5 (3-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

მაყურებელი: 33 258

არბიტრი: დ. სკრომინა (სლოვ)

ოლიმპიაკოსი-ბორუსია (დ) 3:1

ოლიმპიაკოსი (4-2-3-1): კოსტანცო – მოდესტო, ა. პაპადოპულოსი, მელბერგი, მარკანო – ორბაისი, მაკუნი (73. მანიატისი) – მირალიაში (90. ფეცფაციდისი), იბაგასა, ჰოლებასი – ჯებური (87. პანტელიჩი).

ბორუსია დ. (4-2-3-1): ვაიდენფელერი – პიუჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, გიუნდოგანი (57. ლეიტნერი) – გიოტკე (82. გროსკროიტცი), კაგავა (66. ბლაშჩიკოვსკი), პერიშიჩი – ლევანდოვსკი.

გოლები: 1:0 ჰოლებასი (8), 1:1 ლევანდოვსკი (26), 2:1 ჯებური (40), 3:1 მოდესტო (78)

გაფრთხილება: შმელცერი

კუთხური: 3-3; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 9-8 (4-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

მაყურებელი: 29 638

არბიტრი: ბ. ნიჰუისი (ჰოლან)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. არსენალი	3	2	1	0	4-2	7
2. მარსელი	3	2	0	1	4-1	6
3. ოლიმპიაკოსი	3	1	0	2	4-4	3
4. ბორუსია (დ)	3	0	1	2	2-7	1

G ჯგუფი

პორტუ-აპოელ 1:1

პორტუ (4-1-2-3): ელტონი – სეპუნარუ, ოტამენდი, როლანდო, ა. პერეირა – ფერნანდო (68. ბელუში) - გუარინი, მოუტინიო (78. დეფური) – ჰალკი, კლებერი, როდრიგესი (69. ვარელა).

აპოელ (4-2-3-1): ქიოტისი (51. პარდო) – ჰურსაიტიდისი, კაკა, ოლივეირა, ბოავენტურა – მორაიში, პინტუ – ტრიჩკოვსკი (90. ადორნო), ხარალამბიდისი, მანდუკა (71. იაპიჩი) – ალმეიდა.

გოლები: 1:0 ჰალკი (13), 1:1 ალმეიდა (19)

გაფრთხილება: ოტამენდი, კლებერი, როლანდო, როდრიგესი, სეპუნარუ, პერეირა, გუარინი, ჰალკი - პინტუ, ტრიჩკოვსკი, კაკა

კუთხური: 6-4; **ჯარიმა:** 25-21; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 17-7 (8-5); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

მაყურებელი: 35 512

არბიტრი: ა. გაუტიე (საფრ)

შახტარი-ზენიტი 2:2

შახტარი (4-2-3-1): რიბკა – სრნა, ჩიკოვი (72. კუჩერი), ჩიგრინსკი, რაცი – ჰიუბშმანი, ფერნანდინიო – დუგლასი (75. ტეიშეირა), ჟადსონი (67. მხითარიანი), ვილიანი – ლუიზ ადრიანო.

ზენიტი (4-4-1-1): მალაფეევი – ლუკოვიჩი, ბრუნო ალვეში, ლომბერტსი, კრიშიტო – ზირიანოვი (90. სემაკი), დენისოვი, შიროკოვი, ფაიზულინი - დანი - ბუხაროვი (74. ლაზოვიჩი).

გოლები: 1:0 ვილიანი (15), 1:1 შიროკოვი (33), 2:1 ადრიანო (45), 2:2 ფაიზულინი (60)

გაფრთხილება: ჩიკოვი, სრნა - ალვეში, კრიშიტო

კუთხური: 5-10; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 14-12; **კარში დარტყმა:** 11-20 (6-10); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 50 578

არბიტრი: ფ. დე ბლეეკერე (ბელ)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. აპოელ	3	1	2	0	4-3	5
2. ზენიტი	3	1	1	1	6-5	4
3. პორტუ	3	1	1	1	4-5	4
4. შახტარი	3	0	2	1	4-5	2

H ჯგუფი

მილანი-ბაზე 2:0

მილანი (4-1-3-2): აბიატი – აბატე, ნესტა (84. მექსე), ბონერა, ტაივო - ვან ბომელი - აკვილანი, კ.-ჰ. ბოატენგი (78. ემანუელსონი), ნოჩერინო - იბრაჰიმოვიჩი, კასანო (61. რობინიო).

ბატე (4-2-3-1): ვუტიჩი – ბაგა, შიმიჩი, რადკოვი, იურევიჩი – ვოლოდკო, ლიხტაროვიჩი (65. ოლეხნოვიჩი) - კონტოსევოი, რენანი (77. პავლოვი), ბორდაჩოვი - კეუმანი (72. სკვიში).

გოლები: 1:0 იბრაჰიმოვიჩი (33), 2:0 ბოატენგი (70)

გაფრთხილება: ნოჩერინო - ბორდაჩოვი, შიმიჩი

კუთხური: 6-4; **ჯარიმა:** 19-23; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 20-10 (6-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

მაყურებელი: 66 040

არბიტრი: ტ. ჰაგენი (ნორვ)

ბარსელონა-პლზენი 2:0

ბარსელონა (4-3-3): ვალდესი – დანი ალვეში, მასკერანო, აბიდალი, ადრიანო – ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა (85. კეიტა) – პედრო, მესი, ვილია (88. კუენსა).

პლზენი (4-2-3-1): ჩეხი – ლიმბერსკი, ბისტრონი, ჩიშოვსკი, რიიტორალი – ჰორვატი, ირჟაჩეკი – პილარი (75. ფილო), კოლარი, პეტრჟელა (85. დარიდა) – ბაკოში (57. დურიში).

გოლები: 1:0 ინიესტა (10), 2:0 ვილია (82)

კუთხური: 7-0; **ჯარიმა:** 3-12; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 15-0 (5-0); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

მაყურებელი: 74 375

არბიტრი: ა. სტავრევი (მაკედ)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	3	2	1	0	9-2	7
2. მილანი	3	2	1	0	6-2	7
3. პლზენი	3	0	1	2	1-5	1
4. ბატე	3	0	1	2	1-8	1

● ბარსელონა

მესიადა

ლეო და ბოიანი ნათესავები ყოფილან

"ბარსელონაზე" წერას მნიშვნელოვანი ინფორმაციით დავიწყებთ: შპორტ.ეს-ის ინფორმაციით, კატალონიური ხუპერკლუბი მზადაა, კაპიტან **კარლეს პუიოლს** ახალი კონტრაქტი გაუფორმოს. საინტერესო ის არის, რომ მიმდინარე ხელშეკრულება 2013 წელს იწურება. "ბლაუგრანა" კი თანახმაა, ვადა ფეხბურთელის მიერ კარიერის დასრულებამდე გადაწიოს. ამით კლუბი კარლესს პრაქტიკულად ამოუწურავ ნდობას უცხადებს.

რაც შეეხება თემის სათაურს: **მესი** აქ, მესი იქ, უბრალოდ მესი, კიდევ მესი, კიდევ უფრო მეტი მესი... და ასე გრძელდება დაუსრულებლად. ლიონელზე მთელი პლანეტა დაუღალავად ლაპარაკობს. რა გასაკვირია, რომ მასზე **რომარიოსაც** ამოეღო ხმა. მით უფრო, რომ ბრაზილიელი ლეგენდა ბევრი ლაპარაკითაა ცნობილი. აი, რას ამბობს ის: "*მესიმ განაცხადა, რომ მას*

არ შეუძლია ზუსტად თქვას, პელე უფრო მაგრად თამაშობდა ფეხბურთს, თუ თავად უკეთ ეხერხება ეს საქმე. სწორედ ამიტომ მე არ გავუგზავნი ჩემს დოკუმენტურ ფილმს ლიონელს, რადგან მან შეიძლება ასე უფრო მეტი რამ ისწავლოს ფეხბურთში (კი, მაგრამ რატომ ვერ იყიდის ამ ფილმს?!). მისი შედარება პელესთან არ შეიძლება, რადგან არასოდეს მოუგია მსოფლიოს ჩემპიონატი. მესის ყველანაირი მონაცემი აქვს, რომ ყველა დროის ყველაზე დიდი ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ ამისთვის მას ჯერ ჩემი, მარადონას და ბოლოს პელეს გადასწრება მოუწევს".

თავად ლიონელი კი ნამდვილად გაოცებული დარჩებოდა რომარიოს განცხადებით, რადგან მიუხედავად სუპერვარსკვლავის სტატუსისა, არგენტინელი თავმდაბლობას არ კარგავს და არათუ პელესა და მარადონას, **კრიშტიანო რონალდოსაც** კი არ ადარებს საკუთარ თავს. "მე და რონალდოს არანაირი დაპირისპირება არ გვაქვს ერთმანეთში. მასთან თავი არასოდეს გამიტოლებია. ერთადერთი მიზანი მაქვს, დავეხმარო ჩემს გუნდს წარმატებების მოპოვებაში. იმიტომ კი არ გამაქვს გოლები, რომ ვინმეს რეკორდი გავაუმჯობესო, არამედ "ბარსას" გამარჯვებისთვის. მხოლოდ მოგებული ტიტულებია იმის გარანტია, რომ ჩვენ ისტორიაში დავრჩებით," – განუცხადა მესიმ "ასს".

აქვე კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას მოგანვდიით: კატალონიური გამოცემა "ელ სეგრეს" მტკიცებით, მესი და "ბარსას" ყოფილი თავდამსხმელი **ბოიან კრკიჩი** თურმე მე-4 თაობის ნათესავები ყოფილან. **რამონი** (მესის დიდი პაპა) და **გონსალი** (კრკიჩის წინაპარი) ძმები ყოფილან. ისინი კატალონიაში დაიბადნენ. მესის ესპანელი ბებია **როზა მარია** კი არგენტინაში მის ბაბუას **ეუსებიო მესის** გაჰყოლია ცოლად და მისი არგენტინელობის მიზეზიც სწორედ ეს არის.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

ლისაბონის „სპორტინგის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი რიკი ვან ვოლფსვინკელი შესაშურ ფორმაშია

დღეს

A ჯგუფი

ტოტენჰემი (ინგლისი)
რუბინი (რუსეთი) 23:05
პაოკ (საბერძნეთი)
შემროკი (ირლანდია) 23:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რუბინი	2	1	1	0	5-2	4
2. ტოტენჰემი	2	1	1	0	3-1	4
3. პაოკ	2	0	2	0	2-2	2
4. შემროკი	2	0	0	2	1-6	0

B ჯგუფი

სტანდარდი (ბელგია)
ვორსკლა (უკრაინა) 23:05
ჰანოვერი (გერმანია)
კოპენჰაგენი (დანია) 23:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სტანდარდი	2	1	1	0	3-0	4
2. ჰანოვერი	2	1	1	0	2-1	4
3. კოპენჰაგენი	2	1	0	1	1-3	3
4. ვორსკლა	2	0	0	2	1-3	0

C ჯგუფი

რაპიდი (რუმინეთი)
ლეგია (პოლონეთი) 23:05
ჰაპოელი თ. (ისრაელი)
პსვ (ჰოლანდია) 23:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პსვ	2	2	0	0	4-1	6
2. ლეგია	2	1	0	1	3-3	3
3. რაპიდი	2	1	0	1	2-3	3
4. ჰაპოელი	2	0	0	2	2-4	0

D ჯგუფი

სპორტინგი (პორტუგალია)
ვასლუი (რუმინეთი) 23:05
ციურიხი (შვეიცარია)
ლაციო (იტალია) 23:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სპორტინგი	2	2	0	0	4-1	6
2. ვასლუი	2	0	2	0	4-4	2
3. ლაციო	2	0	1	1	3-4	1
4. ციურიხი	2	0	1	1	2-4	1

E ჯგუფი

სტოკი (ინგლისი)
მაძაბი თ (ისრაელი) 23:05
დინამო (უკრაინა)
ბეშიძთაში (თურქეთი) 23:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სტოკი	2	1	1	0	3-2	4
2. ბეშიძთაში	2	1	0	1	6-3	3
3. დინამო	2	0	2	0	2-2	2
4. მაძაბი	2	0	1	1	2-6	1

F ჯგუფი

ბილბაო (ესპანეთი)
ზალცბურგი (ავსტრია) 23:05
სლოვანი (სლოვაკეთი)
პსუ (საფრანგეთი) 23:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბილბაო	2	2	0	0	4-1	6
2. პსუ	2	1	0	1	3-3	3
3. ზალცბურგი	2	1	0	1	4-3	3
4. სლოვანი	2	0	0	2	1-5	0

G ჯგუფი

მალმიო (შვედეთი)
მეტალისტი (უკრაინა) 21:00
ალკმაარი (ჰოლანდია)
აუსტრია (ავსტრია) 21:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ალკმაარი	2	1	1	0	5-2	4
2. მეტალისტი	2	1	1	0	3-2	4
3. აუსტრია	2	1	0	1	3-3	3
4. მალმიო	2	0	0	2	2-6	0

H ჯგუფი

მარიბორი (სლოვენია)
ბრაგა (პორტუგალია) 21:00
ბრიუგე (ბელგია)
ბირმინგემი (ინგლისი) 21:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბრიუგე	2	2	0	0	4-1	6
2. ბრაგა	2	1	0	1	4-3	3
3. ბირმინგემი	2	1	0	1	3-4	3
4. მარიბორი	2	0	0	2	1-4	0

I ჯგუფი

რენი (საფრანგეთი)
სელტიკი (შოტლანდია) 21:00
უდინეზე (იტალია)
ატლეტიკო (ესპანეთი) 21:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ატლეტიკო	2	1	1	0	3-1	4
2. უდინეზე	2	1	1	0	3-2	4
3. რენი	2	0	1	1	2-3	1
4. სელტიკი	2	0	1	1	1-3	1

G ჯგუფი

აეკ (კვიპროსი)
შალკე (გერმანია) 21:00
მაძაბი ჰ. (ისრაელი)
სტიაუა (რუმინეთი) 21:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. შალკე	2	1	1	0	3-1	4
2. მაძაბი	2	1	0	1	2-3	3
3. სტიაუა	2	0	2	0	1-1	2
4. აეკ	2	0	1	1	1-2	1

K ჯგუფი

ოდენსე (დანია)
ტვენტე (ჰოლანდია) 21:00
ვისლა (პოლონეთი)
ფულჰემი (ინგლისი) 21:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტვენტე	2	1	1	0	5-2	4
2. ფულჰემი	2	1	1	0	3-1	4
3. ოდენსე	2	1	0	1	3-3	3
4. ვისლა	2	0	0	2	2-7	0

L ჯგუფი

ლოკომოტივი (რუსეთი)
აეკ (საბერძნეთი) 20:00
შტურმი (ავსტრია)
ანდერლეხტი (ბელგია) 21:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ანდერლეხტი	2	2	0	0	6-1	6
2. ლოკომოტივი	2	1	0	1	2-3	3
3. შტურმი	2	1	0	1	3-3	3
4. აეკ	2	0	0	2	2-6	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა



თბილისი ევროპის თასის ეტაპს უმასპინძლებს

იტალიურმა კატანიამ მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. საქართველოს დელეგაცია (ხელმძღვანელი **ლევან კირკიტაძე**, მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე**, საერთაშორისო არბიტრი **დავით სახვაძე**) შეჯიბრებაზე 10 სპორტსმენით წარსდგა. მოხმალავეთა პაექრობებში 6 მუშკეტერი ცდიდა ძალებს. სხვებზე უკეთ **კახა მაღრაძემ** იასპარეზა - ჯგუფში ყველა მეტოქეს სძლია, მერე ჰონკონგელი და ესპანელი მოწინააღმდეგეები დაამარცხა, მაგრამ მესამე წრეში ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონ პილეს დანებდა და საბოლოოდ 31-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

ჩვენებურთაგან **სანდრო ბაზაძემ, თეოდორა კახიანმა** (ორივე-ხმალი) და **სპარტაკ რაზმაძემ** (დაშნა), რომელიც ხუთი წელიწადია, გერმანიაში ცხოვრობს და იქვე ვარჯიშობს, ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაძლიეს, მაგრამ შემდეგ ჩამოშორდნენ ჯილდოებისკენ მიმავალ გზებს.

„სამწუხაროდ, თავიანთი შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს კადეტებში წლევანდელი მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსანმა მიხეილ მარდალეიშვილმა, ბექა ბაზაძემ (ორივე-ხმალი), ეკატერინა და ანზორ ალბრეხტებმა, ელისო ხოშტარიამ (სამივე-დაშნა), რომლებიც ჯგუფებს ვერ გასცდნენ, თუმცა საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსვლის კარგი გამოცდილება მიიღეს. ჩვენ ხომ კარგა ხანია, ამგვარ მნიშვნელოვან ტურნირებზე ასე მრავალრიცხოვანი სპორტსმენებით არ ვყოფილვართ. ფედერაციასთან ერთად სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, თბილისისა და ქუთაისის მერიების დახმარებით შევძელით ჩემპიონატზე 10 მოფარიკავის წაყვანა.

მართალია, კატანიაში საოლიმპიადე საგზურებს ვერ შევწვდით, მაგრამ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის შანსი არ დაგვიკარგავს: გაისად გაზაფხულზე (აპრილი) ბრატისლავაში საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი გაიმართება, სადაც 2 - ხმალსა და 4 საგზური დაშნაში გათამაშდება. ვეცდებით დანაკლისი იქ შევივსოთ. მანამდე კარგა დროა და ხარვეზების გამოსწორებას მოვასწრებთ.

ამჯერად ჩვენი საზრუნავია 23-წლამდელებში ევროპის თასის ეტაპის მასპინძლობა, რომელიც 29-30 ოქტომბერს თბილისში, სპორტის სამინისტროს შენობაში საკალათბურთო კლუბ „აკადემიას“ დარბაზებში ჩატარდება. 15 ქვეყნის წარმომადგენლებს ველით. ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ სტუმარ-მასპინძლები კმაყოფილნი დარჩნენ,“ - გვითხრა ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით სახვაძემ.

ვაჟა დანელია

ბოგბურთი

მაკა კარგად მიდის

ესპანეთის ქალაქ სევილიაში წარმატებით ასპარეზობს 28 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (183). ქართველი, რომელიც 25-ათასიან ტურნირზე მე-4 ნომრად არის განთესილი, უკვე მეოთხედფინალშია. მაკამ პირველ წრეში ორ სეტში პორტუგალიელი **მარია ჟოაო კოელერი** (230) დაამარცხა - 7:5, 6:2. მერვედფინალში ჩვენებურმა არგენტინელ **ვანესა ფურლანეტოს** (333) მოუგო - 6:4, 6:1. ჩახნაშვილმა, ამჯერად, წყვილთა ბადეში თამაშზე უარი თქვა.

ანთალიაში (თურქეთი, 10 ათასი დოლარი) პირველი წრე დაძლიეს მე-3 ნომრად განთესილმა **ეკა გორგოძემ** და მე-5 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ**. გორგოძემ მასპინძელ **ესენ კოგჩეს** იოლად სძლია - 6:0, 6:1. არც ქვაცაბაიას გასჭირვებია , რომელმაც **კამელია ჰრისტეას** (რუმინეთი) მოუგო - 6:3, 6:1. თუკი ჩვენებურები მეორე წრეშიც იყოჩაღებენ, მეოთხედფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მაკა ჩახნაშვილი

რეგიონი

მაღაროელთა ქალაქის კრივი

პატარა ქალაქის კვალობაზე ჭიათურელი მოკრივეები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის შეჯიბრებებში საკმაოდ გამოირჩევიან. გამოდიან საქართველოს ასაკობრივ ნაკრებ გუნდებშიც. ქალაქის მოკრივეთა მთავარ მწვრთნელს გელა ცარციძეს ამას წინათ ვარიანში გიორგი კარელიძის სახელობის ტურნირზე ჩამოვართვით ინტერვიუ.

- ოთხი ათეული წელია, რაც ჭიათურის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს კრივის სექცია. ჩვენი რაიონის სპორტულ ცხოვრებაში თუ რომელიმე სახეობას შეუძლია წარმატებებით დაიკვეხნოს, ერთ-ერთი უპირველესი კრივია. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 23 წელინადია, მწვრთნელად ვმუშაობ - აქტიური სპორტული კარიერა გავლიე. მწვრთნელობას კი მივყავი ხელი. - ამბობს თავის დროზე საქართველოს ჩემპიონი და სსრ კავშირის ორგზის პრიზიორი.

- რამდენი მწვრთნელი მუშაობთ?

- ექვსი მწვრთნელი ასამდე ბავშვს ამეცადინებს. არიან როგორც ახალგაზრდა, ისე გამოცდილი სპეციალისტები. სხვათა შორის, პატარებს ავარჯიშებს ჭიათურის კრივის ყველაზე ტიტულოვანი წარმომადგენელი კონსტანტინე კუპატაძე, რომელიც ევროპის ჩემპიონატების ორგზის პრიზიორია დიდებში.

- სახელოვანთა მემკვიდრეებიდან ვის გამოყოფდით?

- გვყავს საქართველოს ჩემპიონები შალვა ღვალაძე (დიდებში), გიორგი ჯაფარიძე და სანდრო ჯაჯანიძე (ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში). პერსპექტიული მოკრივეები არიან ქვეყნის პრიზიორი ჩვენი შეგირდებიც. ჭიათურას საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში ჰყავს წარმომადგენლები.

- ინფრასტრუქტურაზე რას იტყვით?

- წელინადნახევარია, რაც ახალ დარბაზში ვაგრძელებთ მუშაობას. ყოველმხრივ უზრუნველყოფილ დარბაზს შარშან ფედერაციის მიერ გადმოცემული ახალი ოლიმპიური რინგიც დაემატა, რაც, ბუნებრივია, ენთუზიაზმს გვიორმაგებს. ნორმალურ სავარჯიშო პირობებში მოსწავლეთა ნაკადიც იზრდება.

სკოლის დირექტორის ბადრი ვაშაძის და რაიონის გამგებლის გოგი ჩიკვილაძის მხარდაჭერით არ გვაკლია სპორტული ინვენტარი და ფორმა, რამდენიმე წელია, ჩვენი ქვეყნის არც ერთი პირველობა არ გამოგვიტოვია. ერთ ჩემპიონატს ჩვენი ქალაქიც მასპინძლობს. ესაა სსრკ ორგზის ჩემპიონის, ჭიათურელი მოკრივის თემურ ჯაოშვილის ხსოვნის ტურნირი, რომელიც ათი წელიწადია, ტარდება.

ვასილ ბალახაძე

დავით ასპანიძის ფოტო

გელა ცარციძე შეგირდებთან ერთად

სუმო

ქართველ სუმოისტს ბოლფის ყვანჯით სცემდნენ?

ბოლო წლებია, რაც სუმოს სამყარო ხშირად ეხვევა სკანდალებში. ამჯერად ყურადღების ცენტრში ქართველი რიკიში **ლევან გორგაძე** (**ტოჩინოშინი**) და მისი მწვრთნელი **ანუ ოიაკატა** მოექცნენ. საქმის ვითარება ასეთია: ამ რამდენიმე დღის წინათ კასუგანო ბეიაში (კლუბში, სადაც ტოჩინოშინი ვარჯიშობს) ხელმძღვანელმა **კასუგანომ** (ის ყოფილი სუმოისტი **ტოჩინოვაკაა**) სამი რიკიში, - ტოჩინოშინი, **ტოჩიასიკი** და **ტოჩიჰირიო** დასაჯა. მაგრამ დასჯის ფორმებსაც ხომ გააჩნია - ამბობენ, რომ მან ურჩი შეგირდები გოლფის ყვანჯით ზურგშსა და მუცელში სცემა. თავისი საქციელი კი (ორი დღის შემდეგ პოლიციისთვის მოუწია ახსნა-განმარტებამ) იმით ახსნა, რომ სუმოისტები არაფრით არ უჯერებდნენ და სკოლის გარეთ კიმონოების ნაცვლად თანამედროვე ტანსაცმელს ატარებდნენ.

ამ ინციდენტის გამო სუმოს ასოციაციაში სპეციალური საბჭო შეიკრიბა. ასოციაციის პრეზიდენტმა კასუგანო მკაცრად გააფრთხილა დასჯის უხეში მეთოდების გამო. გაინტერესებთ, ალბათ, როგორ შეიტყო ეს ამბავი პოლიციამ - როგორ და, კლუბიდან დარეკილი ანონიმური ზარის წყალობით. სხვათა შორის, პოლიციამ დასჯის იარაღსაც მიაკვლია, ერთი ყვანჯი სულაც გადატეხილი იყო.

სუმოს სკოლებში ფიზიკური სასჯელი (ბამბუკის ჯოხები) მიღებული ფორმა იყო, სანამ 2007 წელს ამას ერთ-ერთი სპორტსმენი არ შეეწირა, მან ვერ გაუძლო ბამბუკის ჯოხით ცემას. 49 წლის კასუგანო სუმოს სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ოიაკატაა. მაისის ბაშოს წინ მან ტოჩინოშინს არ მისცა უფლება, სპონსორებისგან ნაჩუქარი ახალი მავაშით გასულიყო საბრძოლველად, რადგან მისი აზრით, საჩუქარი მეტისმეტად გულუხვი იყო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქადრაკი

კვარცხლბეკს ვერ შესნვდა

ჯაკარტაში გუშინ დამთავრდა მოქადრაკეთა ინდონეზიის ღია ჩემპიონატი, რომელშიც მთავარი პრიზისთვის 17 ქვეყნის 80 წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის 28 დიდოსტატი და 15 საერთაშორისო ოსტატი. თბილისელმა **სოფიო გურამიშვილმა** ბოლო ტურში ქულა გაიყო სლოვენიელ **იანა კრივიჩთან** და 4,5 ქულით 43-ე ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკს იგი ვეღარც ქალებში შესწვდა — მხოლოდ მეხუთე იყო.

ტურნირის ფინიშზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ჩინელმა **ლი ჩაომ** (2710) — სანდრო მარეკო (არგენტინა) დაამარცხა თეთრი ფიგურებით და 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მართალია, ამდენივე ქულას მოუყარა თავი ინდოელმა შეხარ სურია განგულიმ (2631), რომელიც ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ვან იუეს (ჩინეთი, 2716) დაუზავდა, თუმცა უარესი დამატებითი მაჩვენებლებით მე-2 ადგილი ხვდა. 6,5-6,5 ქულით მეორე-მეშვიდე ადგილები ოლივერ ბარბოსამ (ფილიპინები, 2538), ვლადისლავ ტკაჩიევმა (საფრანგეთი), ვან იუემ, სოუ ვესლიმ (ფილიპინები, 2655) და ალექსეი დრეევმა (რუსეთი, 2711) გაინაწილეს. ქალებში 5 ქულით პირველი ადგილი სლოვაკმა რეგინა პოკორნამ დაიკავა.

ვაჟა დანელია

სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ძალაძების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ქართული სპორტი

● ოლიმპიზმი

მარცხნიდან: გიორგი გალდავა, რამაზ გოგლიძე, ზურაბ კახაბრიშვილი, ლელა აფციაური
კახაბერ ბერიძის ფოტო

სადღეისო სემინარი სამომავლო მიზნებით

გუშინ ფარმაცევტულ კომპანია „ავერსის“ კლინიკაში დამთავრდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სოკ-ის ოლიმპიური სოლიდარობის მიერ ორგანიზებული სამდღიანი სემინარი თემაზე „ოლიმპიური განათლება და სპორტის მენეჯმენტი“, თუმცა სადღეისო მოთხოვნებიდან გამომდინარე, მის პროგრამაში ჩვენთვის აქტუალური ისეთი საკითხებიც ჩართეს, როგორიცაა „თბილისი-2015-ის“ მომზადება.

სემინარის ბოლო დღე თეორიულ მეცადინეობებს დაეთმო, რომელიც სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ გოგლიძემ** და საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა **ზურაბ კახაბრიშვილმა** გახსნეს. „ოლიმპიური განათლებისა და ოლიმპიზმის განვითარების ტენდენციებზე საქართველოში“ ოლიმპიური აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა **ლელა აფციაურმა** წარმოადგინა მოხსენება. „სპეციალური ოლიმპიადები“ იყო პროფესორ **თემურ მიქიაშვილის** თემა. „ოლიმპიური განათლების გლობალიზაციაზე“ პროფესორმა **ვასილ ბაკაშვილმა** ილაპარაკა. „საქართველოში ოლიმპიური განათლების იდენტურობაზე ფიზიკური აღზრდის ხალხურ და კლასიკურ სისტემებში (პარალელები)“ მოხსენებით გაზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი, პროფესორი **თენგიზ გაჩეჩილაძე** გამოვიდა, „ოლიმპიური განათლების საკვირაო სკოლების პროგრამა“ წარმოადგინა პელოპონესის უნივერსიტეტის ასპირანტმა **თორნიკე გაჩეჩილაძემ**. ოლიმპიურ სპორტში გენდერის სოციალურ-კულტურულ ასპექტებზე მოხსენება პროფესორმა **ლევან გოგუაძემ** წაიკითხა, პროფესორმა **მამია ტუღუშმა** „საქართველოს სკოლებში ფიზიკური განათლებისა და სპორტის თანამედროვე ტენდენციები“ გაგვაცნო, კახაბრიშვილმა კი ნაცნობ თემაზე – „სპორტში ჯანსაღ კვებასა და დღის რეჟიმის მნიშვნელობაზე“ ილაპარაკა.

სემინარში 110 კაცი მონაწილეობდა - როგორც სპორტის მუშაკები, ასევე - „გეომედისა“ და თსსუ-ს 60 სტუდენტი, მომავალი ექიმები. მათ წინა დღეებში ოლიმპიური მუზეუმიც მოინახულეს და რიგი სხვა საკითხებიც გაიარეს. როგორც გითხარით, სემინარის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად „თბილისი-2015“ თემაც იქცა და ამასაც დიდი ყურადღება დაეთმო. ამ თემის შემოტანა იმან განაპირობა, რომ მეცადინეობებს არა მხოლოდ სპორტული მედიცინის წარმომადგენლები, არამედ სპორტის მუშაკებიც ესწრებოდნენ, იმ ფესტივალისთვის მომზადება კი ახლავეა საჭირო. თან არა მხოლოდ წმინდა სპორტული კუთხით, არამედ საორგანიზაციო თვალსაზრისითაც. მოგეხენებათ, ყოველ ამგვარ სპორტულ ღონისძიებას სჭირდება ეგრეთ წოდებული მოხალისეთა ჯგუფი („ვალანტიორები“), რომლებიც უსასყიდლოდ ემსახურებიან სტუმრებს. მათი როლი ჩვეულებრივ, ბევრად დიდია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს - გარდა იმისა, რომ უცხოელებს კონსულტაცია უნდა გაუწიონ ნებისმიერ საკითხში, საკუთარი ქვეყანაც რაც შეიძლება კარგად უნდა წარმოადგინონ. ამისთვის საჭიროა, ზედმიწევნით იცოდნენ მისი ისტორია, კულტურა, სპორტული მიღწევები... ხსენებულ ფესტივალთან დაკავშირებით სემინარზე ისეთი აქტუალური სპორტული საკითხების გარდა, როგორიცაა სპორტული მედიცინა, სპორტის მენეჯმენტი, ლაპარაკი იყო, შეჯიბრებების ორგანიზებაზე, ტრანსპორტირებაზე სასტუმროებიდან არენებზე და პირიქით, საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე ან სულაც სასწრაფო ჰოსპიტალიზაციაზე და სხვა, რაც ნებისმიერი შეჯიბრების მასპინძლობისას შეიძლება გახდეს საჭირო.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა და შეკრებილთ მიესალმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გიორგი გალდავა.**

სემინარის დამთავრებისას მის ყველა მონაწილეს დიპლომი გადაეცა.

ირაკლი თავაძე

ოლიმპიადა წარმოგიდგენთ
ქართული სპორტის ქრონიკა
ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

მიხეილ სალაძე

მარცხნივ - მიხეილ სალაძე

დაიბადა 05.12.1953, არგვეთა, ზესტაფონი. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** (100 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1981), მსოფლიოს თასის მფლობელი (1981), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1973, 77, 82), სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1976, 79, 81-82) და სამგზის მეორე პრიზიორი (1973, 77, 80), სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1973, 76), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი (1979) და VIII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1983), იტალიის დიდი პრიზის (1973) და ადრიატიკის თასის ორგზის (1976, 77) მფლობელი, 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავე. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის ორგზის და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი

სათავეები

მშვილდოსნობა



ბრინჯაოს სარტყელი მშვილდოსანთა გამოსახულებით. თრიალეთი. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები

მშვილდოსნობა, როგორც სპორტის სახეობა, თავდაპირველად გავრცელდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, განსაკუთრებით შვეიცარიასა და ინგლისში. 1897 წელს პარიზში გაიხსნა პირველი სასროლეთი მშვილდოსნებისთვის.

1931 წელს დაფუძნდა საერთაშორისო ფედერაცია. 1900 წელს მშვილდოსანთა პირველ ოლიმპიურ შეჯიბრებაში ორი ქვეყნის (საფრანგეთი, ბელგია) 68 სპორტსმენი გამოდიოდა.

საქართველოში მშვილდოსნობა ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული. საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ადრე ბრინჯაოს ეპოქაში ხმარობდნენ სხვადასხვა ზომისა და კონსტრუქციის მშვილდებს. ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახულია მშვილდ-ისრით ნადირობის სცენები, მშვილდები და მშვილდოსნები. მშვილდები ძირითადად ხისგან მზადდებოდა, მაგრამ სხვა მასალებსაც იყენებდნენ, „მშვილდმოქმედნი აკეთებდნენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ხართაგან“ (ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“). მარჯვე მოისართა შორის მოიხსენიებიან ცნობილი მოღვაწენი და ლიტერატურული გმირები: „იყო ესე ლაშა-გიორგი — ახოვანი, ძლიერი, მხნედ მოისარი“ (მემატიანე); გიორგი მესამე იყო „ვითარ ჩუბინ უცდენელი მსროლელი („ქართლის ცხოვრება“); „მშვილდოსანსა ყველასა მზეჭაბუკი სჯობდა“ (მოსე ხონელი); „მინაცა თქვენი აკთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია (შოთა რუსთაველი); „დია კარგია სხვებიცა ზნეობა-საქციელები, მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ-ფიცხელები“ (არჩილი); „უნდა მშვილდი დაწეული“ (თეიმურაზ მეორე). მიზანში ზუსტად მსროლელს ჩუბინს ეძახდნენ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჩუბინი „ესე არს კაცი ისართა, თოფთა, ქვათა უცდენელად ისროდეს“. მშვილდოსნობაში სპეციალური საწვრთნელი ვარჯიშები იმართებოდა, სამიზნე საგანს განსაზღვრულ სიმაღლეზე შემოსდებდნენ და მას სასაგნოს უწოდებდნენ. „სასაგნო ასაბადი. ესე არს მშვილდოსანნი, სადა ნიშანსა დასდებენ ისართა სასროლელად ხელის წაყრის სიმარჯვისათვის“ (სულხან-საბა ორბელიანი).

როგორც სპორტის სახეობა, მშვილდოსნობა საქართველოში XX საუკუნის 60-იან წლებში შემოვიდა ქუთაისელი სპეციალისტის **შალვა ჯაშიაშვილის** თაოსნობით. მშვილდოსანთა პირველი შეჯიბრებები გაიმართა ქუთაისში. პირველი თაობის მშვილდოსანთა შორის გამოირჩეოდნენ: **გივი არჩვაძე, გიორგი გორდეზიანი, გუგული რიჟამაძე, ვასილ ტროპინი, ალექსანდრე მეჟავიძე, ნიკოლოზ ნოვოსელცევი, ცისანა სუმბაძე** და სხვები.

ქართველ მშვილდოსანთა, განსაკუთრებით ქალთა წარმატებები საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე საქვეყნოდაა ცნობილი.

თარილი

20-26 ოქტომბერი

20. 1944 წ. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პირველი მატჩი ჩაატარეს საზღვარგარეთ. ირანის ნაკრებთან შეხვედრა დამთავრდა ქართველთა გამარჯვებით 5:1.

22. 1937 წ. დაიბადა **გივი ბოსტოღანაშვილი** - ტყვიის სროლა.

22. 1971 წ. დაიბადა **ზურაბ მჭედლიშვილი** - რაგბი

22. 1904 წ. დაიბადა **ანდრო ჟორდანია** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1974 წელს.

23. 1973 წ. დაიბადა **გოჩა გახარია** - წყალში ხტომა.

23. 1977 წ. დაიბადა **ალექსანდრე იაშვილი** - ფეხბურთი.

24. 1963 წ. დაიბადა **გურამ გედეხაური** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

26. 1936 წ. დაიბადა **ბორის სიჭინავა** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2011 წელს.

ანდრო ჟორდანია

ვიქტორინა

1 ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტის რომელი სახეობის სპორტსმენებს აქვთ მოპოვებული ყველაზე მეტი ოქროს მედალი?

ა — ძიუდოისტებს
ბ — თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს
გ — გერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს

2. ევროპის რამდენგზის ჩემპიონია ძალოსნობაში გიორგი ასანიძე?

ა — ერთგზის
ბ — ორგზის
გ — სამგზის

3. რომელ წელს დაფუძნდა დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია?

ა — 1990 წლის 15 თებერვალს
ბ — 1991 წლის 2 მარტს
გ — 1992 წლის 12 სექტემბერს

4. რომელ ქვეყანას მოუტანა ოლიმპიური მედალი ქართველმა მოჭიდავემ გივი სისაურმა?

ა — გერმანიას
ბ — საბერძნეთს
გ — კანადას

5. რომელი ქართველი ფალავანი გახდა სიეტლში (1990) გამართული „კეთილი ნების თამაშების“ ჩემპიონი?

ა — ლერი ხაბელოვი
ბ — დავით გოგეჭიშვილი
გ — გურამ გედეხაური

-დ-ნ 'Ე-Ხ 'Ე-Გ 'Ე-Შ 'Ე-Ი :ᲣᲞᲘᲜᲔᲜᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ...

პირველი სამთო-მოთხილამურეთა სექცია ბავშვებისთვის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან ჩამოყალიბდა 1973 წელს სასახლის მაშინდელი დირექტორის **ზურაბ ლომიძის** მონადინებით.

პირველმა ხელბურთში საქართველოდან ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **ალექსანდრე ანპილოგოვმა** 1976 წელს მონრეალში სსრ კავშირის ნაკრებში.

პირველად საქართველოს სპორტსმენები ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩაერთნენ 1946 წლიდან სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში. ეს განაპირობა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში საბჭოთა ფედერაციების გაწევრიანებამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ᲯᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



თარაზულად: 1. სატრანსპორტო საშუალება და სპორტული ინვენტარი, რომელიც ქართულად ნიშნავს „ჩქარ ფეხს“; 5. ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 7. სამი ნერტილი კამათელზე; 8. პროფესიონალი მოკრივის, რამაზ გაზაშვილის მეორე გვარი; 11. სამაგიდო თამაშე; 13. "წამაქცეველი დარტყმა" კრიფში; 14. ბოლნისის "სიონის" ყოფილი მწვრთნელი; 16. გურჯაანის საფეხბურთო კლუბი; 19. ფიფას პრეზიდენტი ... ბლატერი; 20. საფრანგეთის ფრენბურთის კლუბ "კანის" თბილისელი კაპიტანი; 21. ვეტერანი ქართველი ძიუდოისტი; 22. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი; 24. თბილისის "დინამოს" ყოფილი მცველი და მწვრთნელი; 25. მაია ჩიბურდანიძის ყოფილი მწვრთნელ-კონსულტანტი; 26. ქართული ცხენოსნური სახეობა.

შვეულად: 1. ბრუნვა ბრტყელ თხილამურებზე ვერტიკალური ღერძის გარშემო; 2.ქართული სპორტული გაზეთი; 3. სპორტული საქონლის მწარმოებელი კომპანია; 4. იხ. სურათი: ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი; 6. ნახევარმცველი ფეხბურთში; 8. ქართველი ძიუდოისტი ქალი რუსეთში; 9. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა; 10. "კრასნოდარის" თავდამსხმელი ... მარცვალაძე; 11. წარსულში ცნობილი თბილისელი ტანმოვარჯიშე ქალი; 12. ტერმინი, რომლითაც ძიუდოისტი გამოხატავს დანებებას; 15. ფიზიკური აქტივობა და შეჯიბრება; 17. წყალში მხტომელი ... ცოტაძე; 18. წარსულში ცნობილი თბილისელი ჩოგბურთელი ქალი; 19. ბელარუსი ჩოგბურთელი ქალი; 20. ოლიმპიადის ჩემპიონი ... რურუა; 23. ჩინური საბრძოლო ხელოვნება.

● ქართველები უცხოეთში

კვიპროსში ორი ჩვენიანი იწყებს

2010-11 წლების სუპერლიგის ყველაზე ხმაურიანი მოვლენა **ბესიკ ლეჟავასა** და მსაჯ **მაკა კუპატაძეს** შორის მომხდარი ინციდენტი იყო, რასაც კალათბურთელის წელიწადნახევრიანი დისკვალიფიკაცია მოჰყვა. სანქციის გამოტანისას ითქვა, რომ ბესიკ ლეჟავას არ ჰქონდა უფლება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ არც ერთ ტურნირში მონაწილეობისა. 25 წლის სპორტსმენს საზღვარგარეთ უნდა მოეძებნა კლუბი...

მოძებნა კიდეც - მიმდინარე სეზონის დასაწყისში კვიპროსული „აპოლონიდან" მიიღო მიწვევა, კვიპროსის ჩემპიონატისთვის მზადების პროცესი ახალ კლუბთან გაიარა და მწვრთნელის სიმპათიაც დაიმსახურა.

- „აპოლონში" კარგად მიმიღეს, მწვრთნელის ნდობაც მოვიპოვე. გუნდში კარგი ატმოსფეროა და ვფიქრობ, საინტერესო ჩემპიონატი გველის, - გვითხრა ბესიკ ლეჟავამ.

კვიპრესელები სეზონს 21 ოქტომბერს გახსნიან. სადებიუტო ტურში „აპოლონი" შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტ აელ-ს ეწვევა.

გასულ ჩემპიონატში ბესოს ახლანდელი გუნდი პლეი ოფში გავიდა, სადაც სწორედ აელ-თან 0:2 დამარცხდა. მას მერე „აპოლონის" ხელმძღვანელობამ კლუბის გაძლიერებაზე იწყო ზრუნვა და არც მეტი, არც ნაკლები, 12 ლეგიონერი შეიმატა. მათ შორის ერთი ქართველია, ოთხი ამერიკელი, ორი ლატვიელი, თითო შვედი, ბრიტანელი, ჩეხი და რუსი. თუნდაც უცხოელთა სიუხვის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ წლეულს „აპოლონი" კვიპროსის ჩემპიონატში უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

2011-12 წლების სეზონში კვიპროსის პირველობაზე კიდევ ერთი ქართველი იასპარეზებს - **ნიკა ჩხატარაშვილი,** რომელიც ახალგაზრდულ ასაკში ბესიკ ლეჟავას გვერდით 18 და 20-წლამდელთა ნაკრებებში გამოდიოდა. ნიკა შარშანწინ ენად-ის ღირსებას იცავდა, თუმცა შარშან საქართველოში დაბრუნდა და მშობლიურ „ბათუმში" თამაშობდა. ახალი სეზონის წინ ჩხატარაშვილმა კვლავ კვიპროსში გამგზავრება გადაწყვიტა და ენად-ს დაუბრუნდა.

არც ნიკას გუნდშია ლეგიონერთა სიხალვათე, ქართველის გარდა სამი სერბი და ორი ამერიკელია. პირველ ტურში, 21 ოქტომბერს ენადი აპოელს ესტუმრება.

● ქართველები ევროლიგაში

ევროლიგა ქართული მოგებებით დაიწყო

ევროლიგა ევროპის უმაღლესი საკლუბო შეჯიბრებაა. მასში წლეულს ერთბაშად 4 ქართველი კალათბურთელი მონაწილეობს, რაც ევროლიგის არსებობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. ტურნირი ორშაბათს „ჟალგირისი"-ცსკა-ს მატჩით გაიხსნა, გუშინ კი სამი ქართველის ორმა კლუბმა ითამაშა: **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **გიორგი შერმადინის** „კანტუმ" **ნიკოლას ბატუმის** ფრანგული „ნანსი" მიიღო, ხოლო **ზაზა ფაჩულიას** „გალათასარაი" პოლონურ „პროკომს" ეწვია. ჩვენდა გასახარად, ევროლიგის პირველი ტური ქართველთათვის გამარჯვებებით დაიწყო: „კანტუმ" ფრანგები 80:69 დაამარცხა, ხოლო „გალათასარაიმ" პოლონეთში 76:72 იმარჯვა.

■ ■ ■

ვიდრე შეხვედრათა მსვლელობებს შევეხებოდეთ, ქართველებზე უნდა ვთქვათ. ნამდვილად არ გვეგონა, თუ ერთი დღის ჩასულ გიორგი შერმადინს (14:26 წუთი) „კანტუს" მწვრთნელი **ანდრეა ტრინჩიერი** იმაზე მეტად ენდობოდა, ვიდრე გამოცდილ ცენტრ **დენის მარკონატოს** (12:18 წუთი). თუმცა მატჩის მერვე წუთზე მოედანზე შესულმა 216 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა ნაყოფიერად იშრომა და მწვრთნელის ნდობაც დაიმსახურა. აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ გიორგიმ შეხვედრის ბოლო 12 წუთში მხოლოდ ორი წუთი დაისვენა, ისიც მეოთხე პერიოდის შუაში - გადამწყვეტ მომენტში მოედანზე იყო.

არ გეგონოთ, მატჩის მსვლელობისას „კანტუს" 19 ნომერის გარდა ვერავის ვამჩნევდით, მან სხვა თანაგუნდელებთან ერთად მართლაც ნაყოფიერად იმუშავა, რასაც სტატისტიკაც ადასტურებს: მარგი ქმედების კოეფიციენტის (18) მიხედვით იგი „კანტუში" საუკეთესო იყო. ამ მაჩვენებლით მეორე გახლდათ **ვლადიმირ მიკოვი** - 15...

შერმადინმა ერთი ორქულიანი ჩატენვით დააგვირგვინა, 8-დან 6 საჯარიმო გამოიყენა და 8 ქულას 6 მოხსნა და თითო პასი-დაფარება მიამატა. მან 2 ფოლი მიიღო, მეტოქეებს კი წესების დარღვევა 6-ჯერ აიძულა.

აქამდეც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ „კანტუს" სათავეში მეტად ჭკვიანი კაცი უდგას: ტრინჩიერი ცდილობდა მანუჩარ მარკოიშვილი და გიორგი შერმადინი ერთდროულად ეთამაშებინა. ეს ახალბედა ქართველ ცენტრს საქმეს გაუიოლებდა. ასეც მოხდა. თავის მხრივ, მანუმ ჩვეული დამაჯერებლობით ითამაშა, მსროლელის პოზიციაზეც ირჯებოდა და დიდი დრო გამთამაშებლის ფუნქციების შესრულებას მოახმარა, რითაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეროვნულ ნაკრებში ზოგჯერ მისი პლეიმეიქერად გამოყენებაც შეიძლება.

მარკოიშვილმა 19 წუთში 8 ქულა, 2 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. მან 5-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

პირველ ტაიმში თანაბარი თამაშის შემდეგ „კანტუმ" მცირე უპირატესობა მოიპოვა, ხოლო მეოთხე პერიოდის დასაწყისში მანუჩარის ორი საჯარიმოს წყალობით სხვაობა 7 ქულამდე გაზარდა (59:52). ამის შემდეგ ისედაც მშვიდად მოთამაშე კანტუელებს თამაშის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ.

■ ■ ■

პოლონეთში ზაზა ფაჩულიას „გალათასარაიმ" ოთხივე პერიოდში არათანაბრად ითამაშა: პირველი მეოთხედი ორი ქულის სხვაობით მოიგო, მეორე - 11:18 დათმო, თუმცა მესამე ათწუთეულში საოცარი თამაში უჩვენა და მეტოქეს 27:11 აჯობა. მეოთხე პერიოდის წინ თურქები 11 ქულით იგებდნენ და ძნელი წარმოსადგენი იყო, პოლონელებს თამაში შემოეტრიალებინათ. თუმცა მათ ეს მოახერხეს და სირენამდე 16 წამით ადრე სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანეს - 71:74. საბოლოოდ „გალათასარაი" მაინც არ გატყდა და 76:72 იმარჯვა.

თურქული კლუბის ქართველმა ცენტრმა, ფაჩულიამ 4:39 წუთი ითამაშა და აქტივში მხოლოდ ერთი მოხსნა ჩაიწერა.

■ ■ ■

დღეს ევროლიგაზე მეოთხე ქართველი ჩაერთვება - **თორნიკე შენგელია** „შარლერუა" მადრიდის „რეალს" უმასპინძლებს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

● ფიბა-ევროპის პრეზიდენტის ოლაფ რაფნსონის აღიარება

ვიცოდი, საქართველო ფანტასტიკური იქნებოდა

ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა **ოლაფ რაფნსონმა** საკუთარი მოსაზრებები ერთ პუბლიკაციად ჩამოაყალიბა. იგი ევრობასკეტს აფასებს, წერს სხვადასხვა ნაკრებებზე და კალათბურთელებზე. ვფიქრობთ, ეს სტატია ქართველ ქომაგსაც დააინტერესებს, მით უმეტეს, რომ რაფნსონის წერილში საქართველოს ეროვნული გუნდის პარალელურად სიტყვა „ფანტასტიკურს" ვხვდებით.

„პატივცემულო საკალათბურთო მეგობრებო, ევრობასკეტი 2011 ისტორიას ჩაბარდა. ახლა უკვე შეგვიძლია ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები დავაფიქსიროთ.

ვისარგებლებ შემთხვევით და მივულოცავ ესპანეთის ნაკრებს ჩემპიონობას. ვეთანხმები სერბ სპეციალისტ **დუშან ივკოვიჩს,** რომელმაც აღნიშნა, რომ ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო შემადგენლობა სწორედ წლეულს ესპანელებს ჰყავდათ. დიდი ხმაური მოჰყვა პირველ ჯგუფურ ეტაპზე ესპანეთის ნაკრების თურქეთთან წაგებას, მით უმეტეს, რომ მომავალმა ჩემპიონებმა მეოთხე პერიოდში მხოლოდ 2 ქულა ჩააგდეს. თუმცა ესპანელთა მწვრთნელმა **სერხიო სკარიოლომ** კარგად იცის საკუთარი მექანიზმის რა ნაწილი როდის გამოიყენოს და ყველა „ცილინდრი" რა ეტაპზე აამოქმედოს.

თუ ვინმეს სურს ესპანელთა სიძლიერეში დარწმუნება, გადახედოს შეჯიბრების საუკეთესო კალათბურთელებს: **პაუ გასოლმა** კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირი ჩაატარა, თუმცა №1 კალათბურთელად **ხუან კარლოს ნავარო** დასახელდა - ისიც ესპანელია.

საზოგადოებაში ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევს საპრიზო სამეული. **ტონი პარკერის** წინამძღოლობით საფრანგეთის ნაკრებმა ფანტასტიკური თამაში უჩვენა. რუსეთი კი ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა პოდიუმს (რუსებმა 2007 წელს ევრობასკეტი მოიგეს).

მათ გარდა იყო ნაკრებები, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატი გაალამაზეს. მაკედონიამ მეოთხე ადგილი დაიკავა და ლონდონის ოლიმპიადის საგზური მოიპოვა. მაკედონელებმა ვაუკაცურად იბრძოლეს და თავისი ქომაგი გაახარეს როგორც ლიტვაში, ასევე სამშობლოში. სკოპიეში ისინი ნამდვილ გმირებად დაბრუნდნენ.

ფინეთის ნაკრებმა ამ ზაფხულს დამატებითი საკვალიფიკაციო ტურნირიდან დაიწყო და მეორე ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწია.

საქართველოს ნაკრებიც მეორე ეტაპზე გავიდა, ითამაშა ვილნიუსში და დაგვანახა, რომ „ტოპ-დონის" გუნდია. თუმცაღა ორი წლის წინათ B დივიზიონში გამოდიოდა. მაშინ, როცა ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა გავზარდეთ და საქართველოს ნაკრები ევრობასკეტის საგზურით დავაჯილდოვეთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ფანტასტიკურ თამაშს უჩვენებდა. ასეც მოხდა, რადგან იგი აღმავლობის გზაზეა და სულ მალე ერთ-ერთ წამყვან საკალათბურთო ქვეყნად იქცევა, როგორც სანაკრებო ასევე საკლუბო კალათბურთში.

მეოთხედფინალში მაკედონიასთან წაგებამ მასპინძელ ლიტველებს იმედები გაუცრუა, მაგრამ ამ ქვეყანაში კალათბურთი ისე უყვართ, რომ საკლასიფიკაციო მატჩებშიც აქტიურად ქომაგობდნენ ლიტვას. ტურნირის მსვლელობისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მთელი ქვეყანა კალათბურთით ცხოვრობდა. მოკლედ, ლიტვამ ევრობასკეტის მომავალ მასპინძლებს უმაღლესი სტანდარტები შესთავაზა და იმედი მაქვს, თამასას არც სხვა ქვეყნები დასწვენენ.

ისღა დამრჩენია, დაგემშვიდობოთ და წარმატებული საკლუბო სეზონი გისურვოთ.

კეთილი სურვილებით, ოლაფურ რაფნსონი, ფიბა-ევროპის პრეზიდენტი."

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კვირის ნომინანტები

ვინ იყოჩაღა, ვინ ვერა

ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულებამდე ალარაფერი დარჩა. გასულ უქმეებზე გამართული ნახევარფინალების შემდეგ ვცადოთ და კვირის დადებითი და უარყოფითი გმირები გამოვარჩიოთ.

კრეიგ იუბერი (სამხრეთ აფრიკა): ეს მსაჯი მსოფლიოს თასის წლევანდელ გათამაშებაში მართლაც საუკეთესოდ გაისარჯა და სრულიად სამართლიანად დაინიშნა ფინალური მატჩის არბიტრად.

მაშინ, როცა **ბრაის ლოურენსი** და **ალან როლანი** კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, იუბერმა შესანიშნავად გაართვა თავი ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ნაკრებების ნახევარფინალური, ურთულესი მატჩის მსაჯობას.

ოლ ბლექსი: ახალი ზელანდიის ნაკრებმა „ვოლაბების" წინააღმდეგობა (ამ სენტენციის პირდაპირი გაგებით) სისხლში ჩაახშო. „ოლ ბლექის" მოთამაშეებმა მეტოქეს არა მარტო რაგბი მოუგეს, ძალასა და ლონეშიც აჯობეს, რის დასტურადაც ავსტრალიელთა დასისხლიანებული თავპირიც გამოდგება.

ახალი ზელანდიის ნაკრებმა მსოფლიოს თასის სხვადასხვა გათამაშებაში „ვოლაბებთან" ორჯერ წააგო. მესამე მცდელობა წარმატებული გამოდგა და ახლა, „ოლ ბლექსს" ვებ ელისის თასამდე ხელის განვდენაღა სჭირდება.

14 უელსელი: ჩინეთში 14 თარსი რიცხვია. თუმცა უელსელებს ცოტა დააკლდათ, რომ ის თავიანთ ბედნიერ რიცხვად გადაექციათ. უელსის ნაკრებმა საფრანგეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ტაიმ-ნახევრის განმავლობაში კაცნაკლულმა ითამაშა და მიუხედავად ამისა, „ლე ბლო" კინაღამ ფინალს მიღმა დატოვა.

მარცხის მიუხედავად, უელსელ ქომაგებს თამამად შეუძლიათ იამაყონ თავიანთი ვაჟკაცური, მებრძოლი ეროვნული ნაკრებით.

ფლორანს სყარჟევსკი: ფრანგები მოედანზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ, სამაგიეროდ ტრიბუნებზე **ფლორანს სყარჟევსკი** ისეთი იყო, როგორც თავად ფრანგები იტყვიან ხოლმე – „ო, ლა, ლა". დიმიტრი სყარჟევსკისა და იმანოლ არინორდოკის მეუღლეები ფლორანსი და ემა „ლე ბლოს" მცირეწლოვან შვილებთან ერთად გულმხურვალედ ქომაგობდნენ.

შეთქმულების თეორიების მომხრეები: როცა ინტერნეტფორუმებზე ქომაგები თავისთვის რაღაცას ჭორაობენ და ათას ტყუილსა და მართალს ამბობენ, უნდა გაგეცინოს. მაგრამ, როცა საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი ფიგურები თითქმის იმავეს წერენ, ეს უკვე სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს.

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ფიტნეს მწვრთნელმა **ნილს ლაიბლიმ** ადგილობრივ მედიაში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „IRB-მ უნდა დაამტკიცოს, რომ ჩაწყობილი თამაშები არ ყოფილა". ამან ქვეყანაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, მეტი არაფერი.

ვოლაბები: ავსტრალიის ნაკრების ყველა მოთამაშე, **დიგბი იოანის** გამოკლებით, უარყოფითი გმირია. განსაკუთრებით გააწბილეს ქომაგები მგეზავმა **ქუადე კუპერმა** და ცხრა ნომერმა **ვილი გენიამ**, რომლებსაც მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დითირამბებს უმღეროდნენ და ქება-დიდებას ასხამდნენ. მათი ხალასი თამაში, მას შემდეგ, რაც წლეულს სამი ერის გათამაშება მოიგეს, სადღაც უკვალოდ გაქრა.

ლე ბლოს მორაგბეები: მოიგეს, მაგრამ ვაი ამ მოგებას. ამიტომ, როცა მწვრთნელი გეუბნებათ, ბიჭებო, ბევრი ლუდი არ დალიოთ, ესე იგი, არ უნდა დალიოთ. მერე უკვირთ, ამაზე მწვრთნელი საჯაროდ რატომ ლაპარაკობს. აბა უელსთან უსახურ თამაშს თვითონ ხომ არ დაიბრალებს.

მან ეს ყველაფერი უკვე მორაგბეობისას გაიარა და მძიმე შედეგის სიმწრის გემოც იცის, ამიტომ შეუძლია მცირეოდენი სასარგებლო რჩევა მოგცეთ.

ფლორანს სყარჟევსკი და ემა არინორდოკი შვილებთან ერთად

● მსოფლიოს თასი

ბეილი დაბრუნდა, ოთხი ახალია

ავსტრალიის ნაკრები ხვალ, ოქლენდში „ედენ პარკზე" მესამე ადგილისთვის მატჩში უელსის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ტრავმა მოიშუშა და „ვოლაბების" ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს ფულბეკი **ქართლი ბეილი.** ამან საშუალება მისცა **ადამ-ეშლი კუპერს** შუამარბის პოზიციაზე გადაინაცვლოს. მას პარტნიორობას გაუწევს **ბერიკ ბარნსი.**

ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** გუნდში რამდენიმე იძულებითი ცვლილება განახორციელა. ტრავმების გამო უელსის ნაკრებთან ვერ ითამაშებენ **პეტ მაკკები, დენ ვიკერმანი, სეკოპე კეპუ** და **სტივენ მური.** მათ ნაცვლად დინსმა ძირითად შემადგენლობაში ბერიკ ბარნსი, **ნათან შარპი, ჯეიმზ სლიპერი** და **ტატაფუ პოლოტა-ნაუ** დააყენა.

„გუნდი საკმაოდ სახეშეცვლილია, მაგრამ გარწმუნებთ, ამ ბიჭებს რეალურად შეუძლიათ მესამე ადგილისთვის მატჩი მოიგონ. ეს ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მსოფლიოს თასის ბრინჯაოს მედლების მოპოვება საკმაოდ პრესტიჟულია და ყველაფერს ვიღონებთ, რომ ახალი ზელანდიიდან ხელცარიელი არ წავიდეთ" - თქვა ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რობი დინსმა.

ავსტრალია–უელსი

ავსტრალიის ნაკრები: **15. ქართლი ბეილი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. ბერიკ ბარნსი, 11. დიგბი იოანი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. ჯეიმზ სლიპერი, 2. ტატაფუ პოლოტა-ნაუ, 3. სალესი მააფუ, 4. ჯეიმზ ჰორვილი, 5. ნათან შარპი, 6. სკოტ ჰიგინბოთამი, 7. დევიდ პოკოქი, 8. ბენ მაკკალემენი.**

16. საია ფაინგაა, 17. ბენ ალექსანდერი, 18. რობ საიმონსი, 19. რადიკე სამო, 20. ლუკ ბარჯესი, 21. ენტონი ფაინგაა, 22. რობერტ ჰორნი.

უელსის ნაკრები: **15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ჯორჯ ნორსი, 13. ჯონათან დევისი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. შეინ ვილიამსი, 10. ჯეიმზ ჰუკი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. გეთინ ჯენკინსი, 2. ჰიუ ბენეტი, 3. პაულ ჯეიმზი. 4. ბრედლი დევისი, 5. ლუკ ჩარტერისი, 6. დენ ლიდიატი, 7. ტობი ფალეტაუ, 8. რაიან ჯოუნზი.**

16. ლოიდ ბარნსი, 17. რაიან ბევინგტონი, 18. ალან-ვინ ჯოუნზი, 19. ენდი პოუელი, 20. ლოიდ ვილიამსი, 21. სტივენ ჯოუნზი, 22. სკოტ ვილიამსი.

მარკ ლივერმონმა არაფერი შეცვალა

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ლივერმონმა** იმ 15 მორაგბის ვინაობა დაასახელა, ვინც კვირას მსოფლიოს თასის ფინალში ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს ახალი ზელანდიის ნაკრების წინააღმდეგ.

„ლე ბლოს" სასტარტო შემადგენლობა აგერ უკვე მესამე თამაშია უცვლელია. ლივერმონმა მგეზავის პოზიციაზე **ფრანსუა ტრინ-დუკს** ისევ **მორგან პარა** ამჯობინა. კვლავ იმავე შემადგენლობით ითამაშებს ფრანგთა მესამე ხაზი. **იმანოლ არინორდოკი, ჟულიენ ბონერი** და **ტიერი დუსოტუარი** მსოფლიოს თასზე საუკეთესო ტრიოა.

ამასობაში კი ფრანგების მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე საკმაოდ უსიამოვნო ინციდენტი დაფიქსირდა. „ლე ბლოს" შუამარბი **ორელიან რუჟერი** პრესკონფერენციიდან გაიქცა და ჟურნალისტებს ხელში მეორეხაზელი **ლიონელ ნალე** შეატოვა. საუბარი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ლივერმონის გამონათქვამებს შეეხო, რომელმაც თავისი მორაგბეები მკაცრად გააკრიტიკა.

„ძალიან არ მომეწონა, რაც მან თქვა. ჩვენ ისედაც მძიმე დღეები გვაქვს, მიმდინარე კვირა კი ყველაზე რთული იქნება. ამიტომ, არ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ასეთ დეტალებს. წინ უმნიშვნელოვანესი, ცხოვრების მატჩი გველის და მთელი ყურადღება სწორედ ამ თამაშისკენ გვაქვს გადატანილი" - თქვა ლიონელ ნალემ.

ერთი სიტყვით, ჟურნალისტების მცდელობა, ფრანგთა ბანაკში ვითარება დაეძაბათ, უშედეგოდ დასრულდა.

ლივერმონი სათადარიგო მოთამაშეებს ხვალ დაასახელებს.

საფრანგეთის ნაკრები: **15. მაქსიმ მედარი, 14. ვინსან კლერი, 13. ორელიან რუჟერი, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. ალექსის პალისონი, 10. მორგან პარა, 9. დიმიტრი იაშვილი. 1. ჟან-ბატისტ პუ, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლა მასი, 4. პასკალ პაპე, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. იმანოლ არინორდოკი.**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

● ნომინაცია

ერთი ევროპელი ხუთის წინააღმდეგ

IRB-მ 2011 წლის საუკეთესო მორაგბის ტიტულის მოსაპოვებლად ნომინანტთა სია გაავცხადა. ექვსი კანდიდატიდან სამი ახალზელანდიელი, ორი ავსტრალიელი და ერთიც ფრანგია. „ლე ბლოს" კაპიტანი **ტიერი დუსოტუარი** ერთადერთი ევროპელია, რომელსაც შანსი აქვს პლანეტის საუკეთესო მოთამაშედ აღიარონ.

ტიერის კონკურენციას გაუწევენ ახალზელანდიელები **პირი ვიპუ, ჯერომ კაინო** და **მაა ნონუ.** ასევე ორი ავსტრალიელი **ვილი გენია** და **დევიდ პოკოქი.**

„მსოფლიოს საუკეთესო მორაგბის ტიტული ნებისმიერი მორაგბისთვის საოცნებოა. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ წელიწადს ენიჭება, როცა მსოფლიოს თასის გათამაშება იმართება. საუკეთესოს, ამ შემთხვევაში, მსოფლიოს თასთან ერთად სხვა დიდი საერთაშორისო ტურნირების შედეგების მიხედვითაც არკვევენ. მათ შორისაა ევროპის ექვსი ერისა და სამხრეთ ნახევარსფეროს სამი ერის გათამაშებები" - თქვა IRB-ის პრეზიდენტმა **ბერნარ ლაპასემ.**

2011 წლის მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეს სპეციალური კომისია გამოავლენს. ამ კომისიის წევრები არიან: **ჯონ იილზი, ვილ გრინვუდი, რაფაელ იბანესი, ფრანსუა პინარი, ავგუსტინ პიშო, სკოტ ქუინელი, ტანა უმაგა** და **პოლ უოლესი.**

გამარჯვებულს ჯილდოს 24 ოქტომბერს გადასცემენ ოქლენდში, მსოფლიოს თასის ფინალის მეორე დღეს.

ყველა საუკეთესო

2001 - **ქის ვუდი** (ირლანდია), 2002 - **ფაბიენ გალტიე** (საფრანგეთი), 2003 - **ჯონი ვილკინსონი** (ინგლისი), 2004 - **სხალკ ბურხერი** (სამხრეთ აფრიკა), 2005 - **დენ კარტერი** (ახალი ზელანდია), 2006 - **რიჩი მაქოა** (ახალი ზელანდია), 2007 - **ბრაიან ჰაბანა** (სამხრეთ აფრიკა), 2008 - **შეინ ვილიამსი** (უელსი), 2009 - **რიჩი მაქოა**, 2010 - **რიჩი მაქოა** (ახალი ზელანდია).



msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● კალათბურთი



მხოლოდ მცირე პროგრესი

16 საათი გრძელდებოდა გუშინ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციისა და კლუბების მფლობელების შეხვედრა. მოლაპარაკებათა ეს რაუნდი დილით დაიწყო და შუაღამეს გადაცილებულზე დასრულდა.

ამ შეხვედრას ესწრებოდა დამოუკიდებელი შუამავალი – აშშ-ის შუამავლობისა და შერიგების ფედერალური სამსახურის დირექტორი **ჯორჯ კოენი**. სწორედ მისი თხოვნით მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ დაპირისპირებულმა მხარეებმა პრესასთან კომენტარი არ გააკეთეს.

თუმცა ამერიკულმა პრესამ გაარკვია, რომ ლოკაუტის შეწყვეტამდე ჯერ ძალიან შორია. მხარეებმა წინ წაინიეს საერთო შემოსავლის განაწილების საკითხში, თუმცა სახელფასო ბიუჯეტის ლიმიტის პრობლემაში პროგრესი არ შეიმჩნევა.

"ამ მომენტისთვის მხარეები ძალიან შორს არიან კომპრომისამდე", - ამბობს Yahoo! Sports-თან კომენტარში შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე.

თავის მხრივ, NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი** აცხადებს, რომ თუ კლუბების მფლობელები და მოთამაშეთა პროფკავშირი ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე მოილაპარაკებენ, რეგულარული ჩემპიონატი შეიძლება 30 დღის შემდეგ დაიწყოს.

"ჩვენ დავაჩქარებთ სეზონისთვის მოსამზადებლად პროცესს და ვეცდებით ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის თავზე დავიწყოთ ჩემპიონატი. რაც უფრო გაიწელება მოლაპარაკებები, მით უფრო მეტ შეხვედრას დავკარგავთ", - ამბობს CNN-თან კომენტარში სტერნი.

მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი დღეს დილით უნდა გამართულიყო.

ამასობაში, ლიგის ხელმძღვანელები ერთი საფრთხის შესახებ ალაპარაკდნენ. ისინი შიშობენ, რომ კლუბების მფლობელებთან მოლაპარაკებებში მოთამაშეთა პროფკავშირი, პირველ რიგში, ლიგის ვარსკვლავების პოზიციას დაიცავს და არა NBA-ის ყველა მოთამაშის.

"ამ მომენტისთვის პროფკავშირების ხელმძღვანელები ბილი ჰანტერი და დერეკ ფიშერი ვარსკვლავების ინტერესებიდან გამოდიან და არ ითვალისწინებენ საშუალო მოთამაშეების პოზიციას, არადა, სწორედ მათ უნდა იცავდეს პროფკავშირი", - მოჰყავს ერთ-ერთი ფუნქციონერის სიტყვები CBS Sports-ს.

■ ■ ■

ცნობილი გახდა, რომ პოპულარულმა ამერიკელმა მსახიობმა **უილ სმიტმა** საკალათბურთო კლუბ "ფილადელფია სიქსერზის" აქციათა პაკეტი შეიძინა.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ ოფიციალურად დადასტურდა "სიქსერზის" გაყიდვა. კლუბი შეიძინა ინვესტორთა ჯგუფმა მილიარდერ **ჯოშუა ჰარისის** მეთაურობით. ბიზნესმენსა და მის კოლეგებს დაახლოებით 280 მილიონი დოლარის გადახდამ მოუწიათ.

ჟალგირისმა მწვრთნელი გაუშვა

ევროლიგის პირველ ტურში შინ მოსკოვის ცსკა-სთან დამარცხების შემდეგ, ლიტვური გრანდის „ჟალგირისის" მფლობელმა **ვლადიმერ რომანოვმა** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა ბერძენი მწვრთნელი **ელიას ცუროსი**. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა სეზონის სტარტზე კაუნასელთა სუსტი თამაში.

შეგახსენებთ, რომ ორშაბათს „ჟალგირისმა" ევროლიგის გახსნის მატჩში შინ 74:87 წააგო რუსეთის ჩემპიონთან.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ცუროსის სავარაუდო შემცვლელი შეიძლება გახდეს ლიტვის ნაკრების დამრიგებელი **კესტუტის კემზურა**.

შარშან ეს სპეციალისტი „ლოკომოტივს" ავარჯიშებდა, რომელთან ერთადაც რუსეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და გამოწვევის თასის ფინალში გავიდა. ლიტვის ნაკრებმა კემზურას ხელმძღვანელობით მეხუთე ადგილი დაიკავა 2011 ლის ევრობასკეტზე.

ელიას ცუროსი

● ჩოგბურთი

რაფას ინგლისი არ უყვარს

რაფა ისვენებს

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი** მიიჩნევს, რომ, შესაძლოა, ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი ლონდონში აღარ გაიმართოს.

ესპანელი ჩოგბურთელის აზრით, წლის მთავარი ჩემპიონატი დატოვებს ინგლისს, როგორც კი ლონდონთან შესაბამისი კონტრაქტი ამოიწურება. იგივე მოსაზრება ეხება სხვა ტურნირებსაც, რომელიც ბრიტანეთში ტარდება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამ ქვეყანაში ძალიან მაღალი გადასახადებია და ეს სერიოზულად მოქმედებს მოთამაშეთა შემოსავალზე.

"ბრიტანეთში მართლაც რთული საგადასახადო სიტუაციაა და ეს ყველაზე თვალში საცემი ნეგატიური ფაქტორი გახლავთ. მაგალითად, თუ მე მივდივარ ტურნირზე ბრიტანეთში, იქ გამარჯვებაზე კი არ ვფიქრობ, არამედ იმაზე, რომ შეიძლება ფული დავკარგო", - განაცხადა ნადალმა.

რაფა ამჟამად აზიური ტურნირების სერიის შემდეგ მშობლიურ მალიორკაზე იმყოფებდა და გოლფის თამაშით ერთობა.

„სიამოვნებას ვიღებ ჩემს მეგობართან სერხიო გარსიასთან ერთად გოლფის თამაშით. ერთად გამოვდივართ Pro-Am-ის კატეგორიის შერეულ ტურნირში", - დაწერა თავის Facebook-ზე მსოფლიოს მეორე ნომერმა.

შეგახსენებთ, რომ აზიის სერიაში ნადალმა თავდაპირველად წააგო ტოკიოს ტურნირის ფინალი **ენდი მიურეისთან**, მომდევნო კვირას კი გერმანელ **ფლორიან მაიერთან** წაგების შემდეგ შანხაიში ნაადრევ ეტაპზე გამოეთიშა ბრძოლას.

■ ■ ■

ამასობაში, პროფესიულ ტურში ნადალის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი **როჯერ ფედერერი** 2011 წელს დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ცდილობს.

სეზონის დასკვნითი ნაწილის მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის შვეიცარიელი დუბაიში, Professional Sports Services-ის ცენტრში ემზადება. როჯერს ამ ცენტრის მთავარი მწვრთნელი, ყოფილი ჰოლანდიელი ჩოგბურთელი **პეტერ ვესელსი** ამეცადინებს.

სავარაუდოდ, ფედერერისთვის უახლოესი ტურნირი იქნება - Davidoff Swiss Indoors, რომელიც 31 ოქტომბერს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დაიწყება. როჯერი ამ ტურნირის მოქმედი ჩემპიონია და წინასწარი ინფორმაციით, უკვე შეიტანა მასში მონაწილეობაზე განაცხადი.

მიუზიკლი ჟუსტინზე

ჟუსტინ ანენი

ლეგენდარული ბელგიელი ჩოგბურთელი, „დიდი სლემის" ტურნირების სამგზის ჩემპიონი **ჟუსტინ ანენი** სამშობლოში მონაწილეობას იღებს ავტობიოგრაფიული მიუზიკლის დადგმაში. ადგილობრივი გამოცემა Le Soir წერს, რომ პირველად მიუზიკლის შექმნის იდეა ქორეოგრაფ **ჟოელ მორანს** დაებადა, რომელიც რამდენიმე წელი ასწავლიდა ანენს საცეკვაო ხელოვნებას.

მორანის თქმით, აღნიშნულ მიუზიკლში, რომელსაც ჯერ სახელი არ გააჩნია, ძირითადად ბავშვები იქნებიან დაკავებული. თავად ჩოგბურთელი წარმოდგენაში ეპიზოდურ როლს დასჯერდება. სპექტაკლის პრემიერა მომავალ წელს არის დაგეგმილი და ის ბრიუსელის გარეუბან ლიმლეტეში, ანენის საჩოგბურთო აკადემიაში გაიმართება.

ჟუსტინმა, რომელმაც მეორედ და საბოლოოდ კარიერა ამა წლის იანვარში დაასრულა, 2010 წლის ნოემბერში მონაწილეობა მიიღო საცეკვაო შოუში, რომელიც ბელგიის ტელევიზიით გადიოდა.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ვენუს უილიამსი** 10-11 დეკემბერს ბარბადოსში საჩვენებელ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

"ველაპარაკე თავად ვენუსს, მის მენეჯერსა და ექიმებს. მოკლედ, ის დეკემბრის დასაწყისისთვის მზად იქნება, - ამბობს ტურნირის დირექტორი **კოდი ლუისი**. – *ის ამბობს. რომ აუცილებლად დაბრუნდება კორტზე და მოუთმენლად ელის ამ მომენტს"*.

ამავე ტურნირში მონაწილეობას დათანხმდნენ ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან **კაროლინ ვოზნიაცკი, ვიქტორია აზარენკა, გაელ მონფილსი** და **ჯონ ისნერი**.

შეგახსენებთ, რომ 3 დეკემბერს მილანში დები უილიამსები საჩვენებელ მატჩს ჩაატარებენ იტალიელების – **ფრანჩესკა სკიავონესა** და **ფლავია პენეტას** წინააღმდეგ.

■ ■ ■

ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელი **შტეფი გრაფი** ჰალეს ტურნირის რანგში საჩვენებელ შეხვედრას ჩაატარებს. ტურნირი გერმანიაში 2012 წლის 11-18 ივნისს გაიმართება.

ასევე ჰალეს შეჯიბრების გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს კიდევ ერთი ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი, 1994 წლის უიმბლდონის ჩემპიონი **მიხაელ შტიხი**.

■ ■ ■

პრინც **უილიამსა** და მის მეუღლე **კეტრინს** ლონდონის სამეფო საჩოგბურთო კლუბის (Queen's Tennis Club) წევრობა შესთავაზეს.

როგორც "დეილი მეილი" წერს, ბრიტანეთის სამეფო ოჯახის თითოეული წევრისთვის საწევრო შესატანის ოდენობა 22 ათასი დოლარი იქნება. აღსანიშნავია, რომ კეტრინის და – **პიპა მიდლტონი** უკვე გახლავთ ამ კლუბის წევრი, რომელიც ყოველწლიურად ატარებს ATP-ის კალენდარში შემავალ Queen's Tennis Club-ის ტურნირს. ეს შეჯიბრება, ტრადიციულად წინ უძღვის უიმბლდონის ტურნირს.

● გამოკითხვა

ყველაზე გავლენიანები

ვებგვერდ AskMen.com-ის გამოკითხვის თანახმად, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი სპორტსმენი გახლავთ არგენტინელი ფეხბურთელი **ლეონელ მესი**. პლანეტის ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიაში "ბარსელონას" ვარსკვლავი მეათე ადგილზეა და ეს საუკეთესო პოზიციაა სპორტსმენებს შორის.

ოცეულში აგრეთვე სამი სპორტსმენი მოხვდა. მე-11 ადგილზეა ტურ დე ფრანსის ჩემპიონი, ავსტრალიელი ველომბროლი **კეიდელ ევანსი** და მსოფლიოს პირველი ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

სულ 49-კაციანი სია შედგა და მასში კიდევ სამი სპორტსმენი შევიდა: გერმანელი კალათბურთელი **დირკ ნოვიცკი** (39), ირლანდიელი მეგოლფე **რორი მაკილროი** (45) და სამხრეთაფრიკელი მორბენალი **ოსკარ პისტორიუსი** (48). მე-18 ადგილზეა "ბარსელონას" მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა**.

სიას სათავეში უდგას კომპანია Apple-ის დამაარსებელი, აწ გარდაცვლილი **სტივ ჯობსი**.

1. სტივ ჯობსი (ბიზნესმენი, აშშ)
2. SEAL Team Six (სპეცგანყოფილება, აშშ)
3. ლარი პეიჯი (ბიზნესმენი, აშშ)
4. უორენ ბაფეტი (ბიზნესმენი, აშშ)
5. კანიე უესტი (მუსიკოსი, აშშ)
6. მოჰამედ ბუაზიზი (სამართალდამცავი, ტუნისი)
7. პრინცი უილიამი (ბრიტანეთი)
8. Anonymous (ჯგუფი WikiIeaks)
9. რაიან გოსლინგი (მსახიობი, კანადა)
10. ლეონელ მესი (ფეხბურთელი, არგენტინა)
11. კეიდელ ევანსი (ველომრბოლი, ავსტრალია)
12. ჯონ სტიუარტი (ტელეწამყვანი, აშშ)
13. ედრიუ მეისონი (ბიზნესმენი, აშშ)
14. ჯორჯ ძლუნი (მსახიობი, აშშ)
15. Jay-Z (მუსიკოსი, აშშ)
16. ჩარლი შინი (მსახიობი, აშშ)
17. ალექსანდრ სპარსგორდი (მსახიობი, შვედეთი)
18. ხოსეპ გვარდიოლა (მწვრთნელი, ესპანეთი)
19. ნოვაკ ჯოკოვიჩი (ჩოგბურთი, სერბეთი)
20. პირს მორგანი (ტელეწამყვანი, ბრიტანეთი)

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

დედაქალაქელთა რეკორდი

ბრწყინვალე სტარტი აიღო ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალ სეზონში „ვაშინგტონმა“, რომელმაც გუშინ ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო და ასპროცენტიანი მაჩვენებლით ლიდერობს აღმოსავლეთ კონფერენციას. ეს კლუბის საუკეთესო სტარტია ისტორიაში. ასევე საკლუბო რეკორდია შინ ზედიზედ ოთხი მოგება.

ამჯერად დედაქალაქელებმა საკუთარ კედლებში დაამარცხეს „ფლორიდა“, რომელმაც წინადღეს „ტამპა ბეის“ შვიდი შაიბა გაუტანა.

მატჩის პირველი ვარსკვლავი „ვაშინგტონის“ ჩეხი მეკარე **ტომაშ ვოკოუნი** გახდა, რომელმაც „პანტერების“ ოცივე დარტყმა მოიგერია და სეზონში მეორე „შათაუტი“ შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ „ვაშინგტონი“ ასეთ წარმატებას თავისი ლიდერის ალექსანდრ ოვეჩკინის არადამაჯერებელი თამაშის ფონზე აღწევს - რუსი ვარსკვლავის ანგარიშზე ხუთ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი და ორი საგოლე პასი მოდის.

ჯერჯერობით ვერ შევიდა ფორმაში სტენლის თასის მოქმედი ჩემპიონი „ბოსტონ ბრუინზი“. „დათვები“ შინ „კაროლინასა“ იღებდნენ და მეექვსე მატჩში მეოთხე მარცხი ინვნიეს.

სტუმრებმა პირველ ორ პერიოდში თითო გოლი გაიტანეს და ბოლო პერიოდის წინ სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს. მესამე პერიოდში „ბოსტონმა“ თამაშის გადარჩენის შანსი დაიტოვა, როცა **პეივერლიმ** მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ მასპინძლები ზედმეტმა უხეშობამ დაღუპა - მეორე და მესამე პერიოდებში „ბოსტონი“ 11-ჯერ დარჩა კაცნაკლული ყინულზე და ეს შანსი „კაროლინამ“ მატჩის ბოლოს გამოიყენა, როცა წუთ-ნახევრის ინტერვალში ზედიზედ ორჯერ გაითამაშა ზედმეტი ჰოკეისტი.

ფაქტები

- “ვაშინგტონის” მეკარე **ტომაშ ვოკოუნმა** კარიერაში 45-ე “შათაუტი” შეასრულა;

- “დალასის” მეკარე **კარი ლეჰტონენმა** სეზონის სტარტზე ხუთიდან ხუთი შეხვედრა მოიგო.

- “მინესოტას” ხუთჯერ ჰქონდა რიცხობრივი უპირატესობა “პიტსბურგთან” მატჩში, მაგრამ “პინგვინებმა” ხუთივე საფრთხე მოიგერიეს. სტუმრად “პიტსბურგს” არც ერთხელ არ გაუშვია გოლი რიცხობრივ უმცირესობაში (20-დან 20).

- “რეინჯერსმა” პირველი მატჩი მოიგო ვანკუვერში 1997 წლის შემდეგ.

- “ლოს ანჯელესის” მეკარე **ჯონათან კუიკმა** კარიერაში მე-15 “შათაუტი” შეასრულა.

დღის ვარსკვლავი

ტრადიციულად, ლიგამ გამოავლინა დღის სამი საუკეთესო ჰოკეისტი.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი დაიკავა **ჰენრიკ ლუნდკვისტმა**, რომელმაც პრაქტიკულად მარტომ მოუგო “ვანკუვერს” – შვედი მეკარის 40-მა სეივმა ნიუიორკულ კლუბს სეზონში პირველი მატჩი მოაგებინა.

მეორე ვარსკვლავი გახდა “ფილადელფიას” ფორვარდი **მეტ რიდი**. 25 წლის მოთამაშემ, რომელიც NHL-ში პირველ სეზონს ატარებს, “ოტავასთან” მატჩში ოთხი ქულა (1+3) დააგროვა.

სამეულშია “ლოს ანჯელესის” გამოცდილი ფორვარდი საიმონ განიე. მან “სენტ ლუისს” ორი შაიბა გაუტანა და დუბლს ერთი საგოლე პასი დაუმატა.

კვირის სამი ვარსკვლავი

გასულ კვირას ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ პირველ ვარსკვლავად **ფილ კესელი** დაასახელა. ამ ფორვარდმა ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ “ტორონტომ” ზედიზედ სამი მატჩის მოგება შეძლო. კესელმა ერთი პასი მიითვალა “მონრეალთან” (2:0) მატჩში, კარიერაში მესამე ჰეთ-თრიკი და ერთი შედეგიანი პასი შეასრულა “ოტავას” წინააღმდეგ (6:5) და ორი გოლითა და ერთი გადაცემით გამოიჩინა თავი “კალგარისთან” შეხვედრაში (3:2).

მეორე ვარსკვლავი გახდა “ნიუ იორკ აილენდერსის” ფორვარდი **ჯონ ტავარესი**, რომელმაც ოთხ მატჩში ხუთი გოლი და სამი საგოლე პასი მიითვალა. მისი წყალობით “აილენდერსს” დიდი ხანია არ ჰქონია ასეთი სტარტი სეზონში – 3 მოგება და ერთი მარცხი.

2009 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა ზედიზედ ორ მატჩში 4-4 ქულა დააგროვა. ჯერ ორი გოლითა და ორი პასით “ტამპა ბეისთან” გამოიჩინა თავი, ორი დღის შემდეგ კი სამი გოლი გაუტანა “რეინჯერსს” და ამას ერთი პასი დაუმატა.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა “დალასის” მეკარე კარი ლეჰტონენმა. მან სეზონი ოთხიდან ოთხი მოგებით დაიწყო, გარდა ამისა, ლიგის ლიდერია ერთი მატჩში საშუალოდ გაშვებული შაიბებით და დარტყმების მოგერიების პროცენტით.

კარი ლეჰტონენი

ოტავა-ფილადელფია 2:7

0:4, 1:0, 1:3

გოლები: 0:1 რიდი-2 (კუტურიე-2, მ. კარლი-2), 0:2 სიმონდსი-2 (რიდი-2, კ. ჟირუ-3), 0:3 კ. ჟირუ-4 (პრონგერი-5, იაგრი-4), 0:4 ტელბოტი-1 (რიდი-3, ჰარტნელი-2), 1:4 სპეცა-2 (ალფრედსონი-2, ე. კარლსონი-7), 1:5 ვან რიმსდიკი-2 (ვორაჩეკი-1, ტიმონენი-2), 1:6 კუტურიე-1 (მ. კარლი-3, რიდი-4), 1:7 უცნობი-1 (ტელბოტი-1, რინალდო-1), 2:7 ე. კარლსონი-1 (კონოპკა-1, ზ. სმიტი-2).

მონრეალი-ბაფალო 1:3

0:0, 1:2, 0:1

გოლები: 1:0 დიასი-1 (პასიორეტი-3, ა. კოსტიცინი-2), 1:1 ლეოპოლდი-1 (სტეფორდი-2, დ. როი-2), 1:2 ვანეკი-4 (პომინვილი-5, გრანიანი-2), 1:3 ერჰოფი-1 (დ. როი-3).

კალგარი-ედმონტონი 2:1

0:1, 0:0, 2:0

გოლები: 0:1 გილბერტი-1 (პოტერი-2, ჰორკოფი-4), 1:1 ბოუმისტერი-1 (ო. იოკინენი-4, სტემპნიაკი-3), 2:1 ტანეგი-1 (სერიჩი-1, მოსი-1).

ვანკუვერი-რეინჯერსი 0:4

0:0, 0:0, 0:4

გოლები: 0:1 რუპი-1 (დეფ ზოტო-1, პრუსტი-1), 0:2 მაკდონაპი-1 (დუბინსკი-2, ანისიმოვი-2), 0:3 ბ. ბოილი-1 (ფედოტენკო-3, პრუსტი-2), 0:4 გაბორიკი-3 (მაკდონაპი-2, ბ. რიჩარდსი-3).

ფინიქსი-ჩიკაგო 2:5

0:1, 2:2, 0:2

გოლები: 0:1 მარიან ჰოსა-2 (შარპი-3, კიტი-1), 1:1 პიატი-1 (შლემკო-1, კლესლა-2), 1:2 ტეუფზი-2 (ბრუნეტი-1, შარპი-4), 2:2 რეი უიტნი-3 (ლენგკოუ-3), 2:3 მეიერსი-1 (კიტი-2, სტალბერგი-1), 2:4 ბოლანდი-4, 2:5 ბიკეელი-2 (ფროლიკი-2, ბოლანდი-1).

ლ. ანჯელესი-სტ. ლუისი 5:0

1:0, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 საიმონ განიე-2 (სტოლი-1, უ. მიტჩელი-2), 2:0 სტოლი-1 (დ. ბრაუნი-2, პენერი-1), 3:0 დ. ბრაუნი-1 (მ. რიჩარდსი-3, ჯ. ჯონსონი-3), 4:0 კოპიტარი-4 (საიმონ განიე-3, ჯასტინ უილიამსი-4), 5:0 საიმონ განიე-3 (კოპიტარი-5, ჯასტინ უილიამსი-5).

ცხელი ხაზი

ეროვნული ბლიცოფენა

ფეხბურთი

ევრო 2012

UNDER 17

პოლონეთი-მალტა	3:0
ესპანეთი-ჩერნოგორია	2:1
ირლანდია-ლიხტენშტაინი	8:0
ჩეხეთი-ყაზახეთი	2:0
უელსი-ლიტვა	2:0
სომხეთი-სერბეთი	1:2

ინგლისი

ჩემპიონშიფი

ლესტერი-უოტფორდი	2:0

I ლიგა

პრესტონი-შეფილდი	2:4

დანია

II დივიზიონი

ვესტსილანდი-რანდერსი	1:2
ჰიორინგი-ვეილე	1:1

ნორვეგია

II დივიზიონი

ასკერი-ჰიონეფოსი	1:2
კონგსვინგერი-სანდეფიორდი	3:0

თურქეთი

II დივიზიონი

ახისარი-გიოზთეფე	1:0
გიონგურენი-ერჩიესი	0:0
გაზიანთეფი-ადანა	2:1
საქარია-ქართალი	0:2
დენიზლი-ძონია	1:2

ჩეხეთის თასი

სიგმა-სეზიმოვო	1:0
დუკლა-იაბლონეცი	3:2
კარვინა-ტეპლიცე	1:3
ზნოიმო-სპარტა	1:4

პოლონეთის თასი

რუხი (ზ)-მპს	1:0
არკა-პოლონია	3:1

სლოვენიის თასი

გარმინი-კოპერი	0:0
ინტერგლოკი-ბუგლიკუმი	2:0

ლატვია

დაუგავა-იურმალა	2:1
იეგლავა-ვენტსპილსი	1:2
მეტალურგსი-სკონტო	0:0

ჩემპიონთა ლიგა

აზია

სუვონი-ალ სადი	0:2
ალ ითიჰადი-ჟეონგუკი	2:3

კალათბურთი

ევროლიგა. კაცები

უნიქსი-მონტეპასკი	71:79
ფენერბაჰჩე-კახა ლაგორალი	66:69
კანტუ-ნანსი	80:69
პროკომი-გალათასარაი	72:76

ევროლიგა. ქალები

უგმკ-ბურჟი	68:50
პრაღა-გალათასარაი	70:78
სოპრონი-ნადეჟდა	76:78 (ო)
კოშიცე-რივასი	81:63
ფენერბაჰჩე-პოლკოვიცე	86:66
ვალენსია-ვიჩი	83:55
მონპელიე-გამბრინუსი	80:50
სალამანკა-ფამილა	86:66

გერმანია

ბრემერჰავენი-ბეტინგენი	36:32
ერტლანდი-ტიუბინგენი	108:103 (ო)

ჰოკეი

კალ

ამური-ავანგარდი	2:0
იუგრა-მეტალურგი (მ)	3:5
სპარტაკი-ატლანტი	5:3

ჩეხეთი

კლადნო-გუდეიოვიცე	1:3

შვეიცარია

ლინჩოპინგი-იურგორდენი	2:3 (ბ)

ჩოგბურთი

ATP. მოსკოვი

რიბა-ტროიცკი	4:6, 4:6
ბერერი-სეპი	4:6, 6:3, 6:2
ბოგომოლოვი-კუკუშკინი	6:4, 3:6, 6:4
დავიდენკო-გაბაშვილი	7:5, 6:2
ბენეტო-დონსკოი	6:4, 6:3

ATP. სტოკჰოლმი

დიმიტროვი-სვიტინგი	6:3, 6:1
ზოპი-ტომიჩი	6:7, 6:4, 0:6
ჰაასი-ანდერსონი	7:6, 4:6, 4:6
პეტცშნერი-რაონიჩი	3:6, 3:6
რიდერსტედტი-რიეჩიკი	4:6, 6:3, 3:6
დელ პოტრო-ბლეიკი	4:6, 4:6

WTA. ლუქსემბურგი

დატე-ჰალეპი	4:6, 5:7
კერბერი-სხოოფსი	6:2, 2:6, 1:6
მედ. გარიგესი-ნიკულესკუ	6:7, 6:3, 1:6
პენეტა-სევასტოვა	3:6, 2:6
ივანოვიჩი-რაზანო	7:6, 6:4
აზარენკა-ბ. ზახვალოვა	6:2, 6:4
გორჯესი-პაჩეკი	6:4, 6:2

WTA. მოსკოვი

ზვონარევა-იოვანოვსკი	6:1, 6:1
ჰერცოგი-ციბულკოვა	3:6, 6:7
კანეპი-სკიავონე	6:4, 5:7, 7:6
დუშევინა-პეტროვა	6:2, 7:6
ვესნინა-კუდრიავცევა	6:0, 6:1
ა.რადვანსკა-საფაროვა	4:6, 6:4, 4:6

TV პროგრამა

20 ოქტომბერი. ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 იტალიის ჩემპიონატი. VI ტური მიმოხილვა.
11:00 ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. ვერდერი-დორტმუნდი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. მილანი-პალერმო.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. X ტური. ნიცა-ბორდო.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. ჩელსი-ევერტონი.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტური. ლევანტე-მალაგა.
23:00 გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
01:00 არგენტინის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბეტისი.
12:00 ახალი ამბები.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მილუოკი-ფილადელფია.
14:15 სუპერკოლაჟი.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი.
19:30 ახალი ამბები.
20:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. 2010-2011. პანათინაიკოსი-მაკაბი.
23:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მილუოკი-ფილადელფია.

GMG-სპორტი 2

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
10:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
12:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რასინგი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 გოლფი.
16:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. კრემლის თასი. 1/8 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი – პარმა
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

20:50 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შბურში-ანდერლეხტი (LIVE).
22:55 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ტოტენჰემი-რუბინი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:25 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. მაჩერატა-ლოკომოტივი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

20:50 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. უდინეზე-ატლეტიკო (LIVE).
22:55 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ციურიხი-ლაციო (LIVE).

HTB-პლუსი (რვეული ფეხბურთი)

20:50 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბრიუგე-ბირმინგემი (LIVE).
22:55 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბილბაო-ზალცბურგი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

12:30 WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
18:00 WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

22:40 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ოლიმპიაბარსელონა (LIVE).

SPORT+

19:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლოკომოტივი-აეკ (LIVE).
22:55 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. დინამო (კ)-ბეშიქთაში (LIVE).

EUROSPORT

13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

ტური ბელგიაში დაიწყება

ცნობილი გახდა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ველომარათონის - ტურ დე ფრანსის 2012 წლის მარშრუტი. რიგით 99-ე ფრანგული ტურის მთავარი სიახლე ის არის, რომ ველომრბოლები სტარტს ბელგიის ქალაქ ლიეჟიდან აიღებენ - ეს 30 ივნისს მოხდება. პროლოგის სიგრძე 6 კილომეტრი და 100 მეტრი იქნება.

მარშრუტში გათვალისწინებულია კიდევ ორი დროზე განცალკევებითი რბოლა - მე-9 ეტაპზე 38 კილომეტრი და როგორც წლევანდელ ტურზე იყო - ბოლოსწინა ეტაპზე 52 კილომეტრი.

ველომრბოლებმა შეაფასეს 2012 წლის მარშრუტი და მას წლევანდელზე რთული უწოდეს. საერთო ჯამში ტურის მონაწილეებმა 3479 კილომეტრი უნდა დაფარონ. მათ მოუწევთ 25 უმაღლესი თუ პირველი კატეგორიის მთის გადალახვა. ამ მხრივაც ტურ დე ფრანსზე ერთი სიახლეა. ფრანგული ველომარათონის ისტორიაში პირველად ველომრბოლებმა მეშვიდე ეტაპზე უნდა დაიპყრონ მთა პლანმ-დე-ბელ-ფილი, რომლის სიმაღლე 1148 მეტრია და 6-პროცენტიანი დახრილობა აქვს.

“მარშრუტში რამდენიმე ახალი მთა დავამატეთ. ამან ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გაამძაფროს. ველომრბოლებს ეტაპების ფინიშამდე დიდი ხნით ადრე გაუჩნდებათ შეტევების განხორციელების სურვილი”, - ამბობს ტურ დე ფრანსის დირექტორი **კრისტიან პრიუდომი**.

ესპანელმა ვარსკვლავმა **ალბერტო კონტადორმა** აღიარა, რომ 2012 წლის მარშრუტი უფრო მომგებიანი იმ ველომრბოლებისთვისაა, რომლებიც დროზე განცალკევებით რბოლაში სპეციალიზდებიან.

“ამ რბოლაში ბევრი შეტევის საშუალება იქნება და ეს ცუდი არ არის. ველომარათონის ბედი მთებში გადაწყდება. რბოლის მარშრუტი უფრო **კეიდელ ევანსს** *აწყობს. მომწონს ეს მარშრუტი, მაგრამ მისი პროფილი ჩემი სტილის შესაბამისი ნამდვილად არ არის. ის უფრო მეტად აწყობთ მრბოლელებს, რომლებიც დროზე განცალკევებით რბოლებში გამოდიან კარგად. საკვარაუდოდ, მომინწევს ინდივიდუალურ რბოლებამდე შეტევა“*, - განაცხადა ტურის სამგზის ჩემპიონმა.

99-ე ტურ დე ფრანსი 30 ივნისს დაიწყება, ფინიში კი 22 ივლისს, ტრადიციულად პარიზში, ელისეს მინდვრებზე შედგება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Maserati GranCabrio
ამ მანქანაში რონალდო მადრიდში სარეკლამო რგოლის გადასაღებად ჩასვეს და პორტუგალიელს ისე მოეწონა, რომ მასში 100 ათასი ფუნტი გადაიხადა.

Audi Q7
სოლიდური გაბარიტების მანქანით კრისტიანო 2008 წელს "ოქროს ბურთის" გადაცემის ცერემონიაზე მივიდა.

Mercedes Benz C-Class Coupe
რონალდოს ავტოპარკში ყველაზე უბრალო მანქანა. გასაკვირი არ არის, რომ კრისტიანო ამ ავტომობილით ნავიდა შვებულებაში მადეირაზე, სადაც ყველას ახსოვს ფეხშიშველა ბიჭი, რომელიც ქუჩაში ბურთს დასდევდა.

BMW M6
დანარჩენი ავტოპარკის ფონზე ამ მოკრძალებული, მაგრამ ბრწყინვალე მანქანით კრისტიანო მანჩესტერში მოძრაობდა 1998 წელს.

კრისტიანოს ავტოპარკი

Bugatti Veyron
Nike-ის სახელგანთქმული რეკლამის შემდეგ რონალდომ შეიძინა მანქანა, რომელსაც სარეკლამო რგოლში გაუსწრო. ასეთი "ბუგატი" 830 ათასი ფუნტი ღირს.

Ferrari 599 GTB Fiorano
წითელი "ფერარი" 180 ათას ფუნტად კრისტიანომ ჩემპიონთა ლიგის მოსკოვური ფინალის მოგების შემდეგ შეიძინა, 2009 წლის ზამთარში კი მანჩესტერის აეროპორტის გვირაბში დაამტვრია. იმ ინციდენტის შემდეგ თანაგუნდელებმა მას "ფერარის" შემცირებული ასლი აჩუქეს. კრისტიანომ იუმორი ვერ შეაფასა და იგივე მარკა ხელმეორედ შეიძინა.

Porsche Cayenne Turbo
საფეხბურთო სუპერვარსკვლავების საზომით საკმაოდ უბრალო და იაფი მანქანა.

Audi RS5
"აუდისა" და მადრიდის "რეალის" თანამშრომლობამ კრისტიანოს მოდელი RS5 აჩუქა. ერთხელ სანომრე ნიშნისთვის (CR7) მან 170 ათასი ფუნტი გადაიხადა, ეს კი უფასოდ მისცეს.

Bentley Continental
რა თქმა უნდა, მან ეს მანქანა მაშინ შეიძინა, როცა ინგლისში თამაშობდა. თუმცა კარგა ხანია ვერ ელევა მას – აგერ უკვე 2007 წლიდან.

Aston Martin DB9
ძვირფასი თეთრი ავტომობილი რონალდომ ჯერ კიდევ "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშისას შეიძინა სულ რაღაც 130 ათასად. "სულ რაღაც" იმიტომ, რომ ეს მისი ერთი კვირის ხელფასია.